სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (20585) ◆ ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეს დღეები სოფლად

ითესება საშემოდგომო კულტურები

წითელწყაროელმა და სიღნაღელმა მეურნეებმა მამა-პაპური გამოცდილებითაც კარგად იციან, რომ ოქტომბერში მარცვლეულის თესვა სიუხვის კარგი საწინდარია. ამიტომაც ცდილობენ ისინი დროულად დაამთავრონ საშემოდგომო თესვა.

მაგრამ ცოდნა ერთია, ზოგჯერ რეალურად არსებული პირობები კი — მეორე, ხშირად ძალიან ძნელდება სამუშაოთა ხარისხიანად, აგროტექნიკური წესებისა და ვადების დაცვით შესრულება. ასეთია თუნდაც წლევანდელი წელი. ჯერ იყო და, ხანგრძლივმა გვალვამ თავთავიანების ნათესები ისე დააზიანა, რომ ხეირიანი სათესლე მარცვალიც ვერ გადაინახეს, საფურაჟედ შარშანდელის მესამედიც ვერ დააგროვეს. რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის შემწეობითა და დახმარებით მეურნეობებმა თესლეული, როგორც იქნა, მოიმარაგეს, მიწაც დროზე მოხნეს, მაგრამ აგვისტოს ბოლოს წვიმებმა და სითბომ გამოფიტულ ნახნავში სარეველები ისე გამოაცოცხლა, რომ ზოგან თესვის წინ ნიადაგის ხელმეორედ გადახვნა დასჭირდათ.

— ხელმეორედ ხვნამ და საწვავ-საცხები მასალების მწვავე ნაკლებობამ რთული ამოცანის წინაშე დაგვაყენა, — ამბობს ჯუგაანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ილია ზედელაშვილი, — თანაც ამან სამუშაოები არა მარტო გაართულა, გააძვირა კიდეც.

ამასვე ნაღვლობენ სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნუგზარ შინჯიაშვილი, ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი უშანგი ზურაბაშვილი, ვაქირის კოლმეურნეობის მოიჯარე ლერი სიფრაშვილი და სხვები. მაგრამ ხელმძღვანელებმა და მექანიზატორებმა გულხელი როდი დაიკრიფეს, სიძნელეთა დაძლევის კონკრეტული გზები დასახეს და ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ თესვა დროზე და აგროწესების დაცვით ჩათავდეს.

მაღაროელები 8 სათეს აგრეგატს შეუფერხებლად ამუშავებენ, ცდილობენ, რომ 1.590 ჰექტარზე დროულად დათესონ ხორბალი და ქერი. სარეველებისაგან გაათავისუფლეს მინდვრები და საშემოდგომოდ 400 ჰექტარი უკვე დათესეს, ბოდბისხეველებმა 1.250 ჰექტარიდან ასობით ჰექტარზე ქერი და ხორბალი უკვე დათესეს. აქ ათი სათესი აგრეგატი მუშაობს. საერთოდ კი სიღნაღის რაიონის მემინდვრე მექანიზატორებმა გადაწყვიტეს ოქტომბერში მთლიანად დაამთავრონ საშემოდგომო თესვა, თუ საწვავით მომარაგება არ შეფერხდა.

ქერის თესვა უკვე დაამთავრეს წითელწყაროს რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. ქერის თესვის დავალება რაიონში პირველებმა ზემო ქედისა და ქვემო ქედის კოლმეურნეობებმა შეასრულეს. ზემოქედელებმა 700 ჰექტარზე დათესეს ქერი, ქვემოქედელებმა — 500-ზე. საერთოდ კი რაიონში ქერი 5.640 ჰექტარიდან 4.200 ჰექტარზე უკვე დათესილია. ქვემოქედელებმა 350 ჰექტარზე მეტი ხორბალიც დათესეს.

— ქერი 570 ჰექტარზე უკვე დავთესეთ, — თქვა წითელწყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნუგზარ ყოჩიაშვილმა, — ხორბლის თესვაც დროზე დავიწყეთ, დღეისათვის უკვე 400 ჰექტარამდე ფართობზე დავთესეთ ეს კულტურა.

ოქტომბრის კალენდარზე, თითქმის თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. საშემოდგომო კულტურებს აგროტექნიკური წესების დაცვით თუ დავთესავთ, საგაისოდ უხვი მოსავალი გარანტირებული გვექნება. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ როგორც რაიონების, ისე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს. აგროვადებისა და წესების ზუსტად დაცვით ვთესოთ თავთავიანი კულტურები! — აი, ეს უნდა იყოს მემინდვრეთა და მექანიზატორთა, ყოველი რანგის ხელმძღვანელთა სადღეისო საზრუნავი.

ვახტანგ გოზალიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

ქუთაისის ბამბის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ზაურ ჩომახიძე) კარგა ხანია უნარჩენოდ მუშაობს. საქმემ მოითხოვა და, წლეულს ფაბრიკაში ფართო მოხმარების წარმოების უბანიც გახსნეს. აქ ამუშავებენ ყველა სახეობის ქსოვილის ნარჩენებს, რომელთაგანაც 20-მდე დასახელების პროდუქციას ამზადებენ. მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს სხვადასხვა მოდელის მანქანის შალითები, პირსახოცები, ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ხალათები. უბანი ყოველდღიურად 17 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელს უშვებს.

კოლექტივის მოწინავეთა რიგებს ახლახან შეემატა შრომისმოყვარე და დისციპლინიანი ახალგაზრდა მუშა ხათუნა ქუთათელაძე. მან სწრაფად აითვისა მკერავის პროფესია. უკვე ტოლს არ უდებს წარჩინებულთ და საწარმოო დავალებებსაც ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს. ნიჭიერი გოგონა წლეულს ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქსოვილებისა და კერვის ტექნოლოგიის სპეციალობაზეც ჩაირიცხა.

მუყაითი შრომა, ცოდნის დაუფლების დიდი სურვილი, თანამოსაქმეებთან გულწრფელი, ხალისიანი და კოლეგიური ურთიერთობა ხათუნა ქუთათელაძის ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია.

საიმედო ცვლა გვეზრდებაო, ამბობენ მასზე ფაბრიკის გამოცდილი, ვეტერანი მუშა სპეციალისტები.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: ხათუნა ქუთათელაძე.

ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო.

განახლების პროცესი რეალური ძალაა

გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილია საქართველოს სს რესპუბლიკის ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი. პროექტით დასახულია სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი სფეროს განახლების გზები, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე პირველად შეიმუშავა ეროვნული აღორძინების ფართო მასშტაბის პროგრამა. პროექტის შინაარსი პირდაპირ უკავშირდება რესპუბლიკის ახლანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას, მის პოტენციალს. ამასთან დაკავშირებით ბატონო ოთარ, პირველი კითხვა: როგორია დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსში?

— ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ეკონომიკის კრიზისისწინა და, ასე განსაჯეთ, კრიზისულ მდგომარეობაზეც. და არცთუ უსაფუძვლოდ. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები, ამასვე გრძნობს თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში. დეფორმაცია, ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც ეკონომიკას შეეხო, ხელს უშლის განახლების პროცესებს, აფერხებს გარდაქმნას. ამიტომ მეურნეობრიობის ახალი პრინციპები, თუმცა კი მას მხარს უჭერენ ფართო მასები, პრაქტიკაში უკიდურესად ნელა ინერგება. ახლებურად, ბრძანებებისა და დირექტივების გარეშე, ეკონომიკური მეთოდებით მართვა კი არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. ეს არის ხელოვნება, რომელსაც თითოეული ხელმძღვანელი უნდა დაეუფლოს. ჯერჯერობით კი განხორციელებული ორგანიზაციული ღონისძიებანი სასურველ შედეგებს არ გვაძლევს. მიმდინარე წლის დამდეგიდან სახალხო მეურნეობაში შექმნილი დაძაბული სიტუაცია დღემდეა შენარჩუნებული.

ახლა საქმის კონკრეტულ მდგომარეობაზე მოგახსენებთ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასასიკეთო ვითარება შეიქმნა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე. შენელდა წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი. პირველ ნახევარწლეულში მან შეადგინა 103,5 პროცენტი დაგეგმილი 105,1 პროცენტის ნაცვლად. თანაც, არსებითი გარღვევა დაუშვეს საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებმა. მდგომარეობა არც უკანასკნელ თვეებში გაუმჯობესებულა.

არ სრულდება მონახაზები ისეთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც, როგორიც არის ეროვნული შემოსავალი და მოგება, კვლავ დიდია არასაწარმოო ხარჯებისა და დანაკარგების ხვედრითი წილი, რომლებმაც ხუთწლედის დამდეგიდან თითქმის 2,5 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს — თუ არ ჩავთვლით სტიქიური უბედურებებით მოყენებულ ზარალს. კვლავ გრძელდება დებიტორული დავალიანების ჩამოწერა. მაგალითად, შარშან სამინისტროებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა ჩამოწერეს 40 მილიონი მანეთი. იზრდება ზარალიან საწარმოთა რიცხვი. ახლა უკვე დაახლოებით 500 ზარალიანი საწარმოა, დანაკარგები კი ასმილიონობით მანეთს შეადგენს.

არ სრულდება სახელშეკრულებო ვალდებულებანიც, სახელმწიფო შეკვეთები. 111 სამრეწველო საწარმოს მიზეზით რესპუბლიკას დააკლდა 50 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. ყველაზე დიდი გარღვევა დაუშვეს მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. და ეს მაშინ, როცა მიწოდების გეგმის შესრულება ამჟამად უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია.

სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაშიც. უუნარო მეურნეობრიობამ, აგრეთვე მეწყერებმა, ზვავებმა, გვალვამ, სხვა სტიქიურ უბედურებებს მოჰყვა ის, რომ მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

უკეთესი სიტუაცია არა გვაქვს ეკონომიკის ისეთ საარსებოდ მნიშვნელოვან დარგებშიც, როგორიცაა სათბობ-ენერგეტიკული, სამშენებლო, მანქანათმშენებლობის კომპლექსები.

— მაშასადამე, თქვენი აზრით, რამდენადმე არსებითი ძვრები არ მომხდარა სახალხო მეურნეობის არც ერთ სფეროში?

— ეს მთლად ასე არ არის. უბრალოდ, საერთო არასასიკეთო ფონზე ისინი არ ჩანს და ჯერჯერობით განსაკუთრებულ გავლენას ვერ ახდენს საქმის მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სიტყვით შევეხები დადებითს მომენტებსაც, თუმცა ასეთი მომენტები ცოტაა და, ძირითადად, საქმის ფინანსურ მხარეს ეხება. მაგალითად, შემიძლია შეგახსენოთ, რომ 20 მილიონი მანეთის და მეტი გადაჭარბებით შესრულდა მოგების გეგმა. ეს ცუდი არ არის. დაიხაზა აგრეთვე პოზიტიური ტენდენციები ვადაგასული გადასახდელების შემცირებაშიც, თუმცა მათი საერთო მოცულობა კვლავინდებურად მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ღრმავდება დისპროპორცია მოსახლეობის ფულად შემოსავალსა და გასავალში, საკასო გეგმის შესრულებაში. აქედან გამომდინარეობს ისეთი საგანგაშო მოვლენა, როგორიცაა ემისია, ესე იგი ბრუნვაში არაუზრუნველყოფილი ფულის გამოშვება. ახლახან გამოქვეყნდა ცნობა, რომ პირველ ნახევარწლეულში მან შეადგინა ქვეყანაში ცხრა მილიარდი მანეთი, შესაბამის შარშანდელ მაჩვენებელზე მესამედით მეტი.

— ამრიგად, ამ ბოლო დრომდე, ცნებები „ემისია", „ინფლაცია", რომლებიც წარმოგვიდგებოდა რაღაც მხოლოდ და მხოლოდ ზღვისიმიერად, რომლებიც ვისაც გნებავთ, იმას ეხება, ოღონდ არა ჩვენ, ჩვენს ეკონომიკასაც შეეხო. რა არის ინფლაციის წყაროები?

— დიახ, ინფლაცია — ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობილების ეკონომიკის ეს მრისხანე სენი — ჩვენც შეგვეხო. ინფლაციის წყაროები მრავალფეროვანია. ძირითადია ის, რომ წარმოების საშუალებათა გამოშვება ქრონიკულად სჭარბობს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვებას. მაგრამ არის ახალი სამეურნეო მექანიზმის ბუქსაობის სხვა მიზეზებიც. ვიცით, რომ ჩვენში აწარმოებენ ათასობით უმაქნის ჩარხებს, საწყობები სავსეა ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, რომლებსაც არავინ არ ყიდულობს. მაგრამ ამაზე უარის თქმას მმართველობის ადმინისტრაციული სისტემა არ ჩქარობს.

იმაში, რომ ახალი სამეურნეო მექანიზმის უპირატესობის რეალიზებას მთლიანად ვერ ვახერხებთ, დამნაშავეა სამეურნეო კადრების არცთუ მცირე ნაწილის კონსერვატიზმი, ხელმძღვანელობის ძველი მეთოდები. მაგალითად, ნელა აღმოიფხვრება გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში, ამასთან ირღვევა სოციალური სამართლიანობის პრინციპები.

ამა თუ იმ დარგის განვითარების პროგრამები, რომლებიც არ მართლდება, წარმოების საშუალებათა მზარდი სიძვირე, სხვა ხარჯები — ყოველივე ეს მკაცრად უნდა შეაფასოს საზოგადოებამ. ამავე მიზნებს უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობის სახსრების ფართო მოზიდვამ საარენდო და კოოპერაციული წარმოების განვითარებისათვის, რა თქმა უნდა, ადამიანებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

— ბატონო ოთარ, ეთანხმება თუ არა თქვენი ნათქვამი რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კონცეფციის პრინციპებს?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ამასთან საჭიროა ისეთი ეკონომიკური და საზოგადოებრივი მექანიზმი, რომლის დროსაც მოგების ზრდას უზრუნველყოფდა მხოლოდ დანახარჯების შემცირება, და არავითარ შემთხვევაში ფასის მომატება. მაგრამ იმისათვის, რომ რეალობას მივაღწიოთ, უნდა იყოს კოლექტივის სრული პასუხისმგებლობა თავისი შრომის შედეგებისათვის, რომლებიც გამოაქვთ საქონლის თავისუფალი კონკურენციის ბაზარზე. იქ კი, ბუნებრივია, იყიდიან არა მარტო საუკეთესოს, არამედ, იმავე ხარისხის პირობებში, უფრო იაფს.

იმისათვის, რომ რეფორმამ უფრო ეფექტიანად შეუწყოს ხელი გარდაქმნას, უფრო გაბედულად და ენერგიულად უნდა ვცვალოთ დაგეგმვის მეთოდები, ავამოქმედოთ ფინანსური ბერკეტები, სრულვყოთ საბითუმო ფასები, შრომის ანაზღაურების პირობები, სამეურნეო მექანიზმის ყველა სხვა რგოლი. რეფორმა მოითხოვს საკუთრების სხვადასხვა ფორმის შეხამებას, საზოგადოებრივი დოვლათის გამოყენებისას მოქნილი და უფრო ეფექტიანი ურთიერთობის შექმნას, სისხლსავსე სოციალისტური ბაზრის ჩამოყალიბებას. ხოლო სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ, თუმცა კი გამოაცხადა შრომითი კოლექტივები ბატონპატრონებად, ხოლო გაერთიანებები და ქარხნები — სოციალისტური საქონლის მწარმოებლებად, ჯერჯერობით რეალურად არ უზრუნველყოფს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას სამინისტროებისა და უწყებებისაგან. საწარმოები, უწინდებურად, ინსტრუქციებისა და სხვა ქვეკანონური საუწყებო აქტების ტყვეობაში არიან. დიდ იმედებს ვამყარებდით შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ იმ სახით, როგორითაც იგი ამჟამად მოქმედებს რესპუბლიკის მეტ წილ საწარმოებში, არსებითად გარდაქმნის მუხრუჭად გადაიქცა: გრძელდება ქვეგანაყოფების საქმიანობის ზედმეტი რეგლამენტაცია, შრომის ანაზღაურების გათანაბრების ტენდენცია.

— როგორია, თქვენი აზრით, შიდასაწარმოო ურთიერთობის გარდაქმნის კონკრეტული მიმართულებანი?

— პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიდგომების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, თითოეულმა საწარმომ თანამიმდევრულად უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც შეიცავს წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას, საგეგმო მაჩვენებლების გამჭოლი სისტემის ფორმირებას, მატერიალური რესურსების აღრიცხვის ქმედითი სისტემის შემუშავებას, სახელშეკრულებო საფუძველზე სამეურნეოანგარიშიანი ქვეგანაყოფების თანამოქმედების ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმების დანერგვას და, ბოლოს, შრომის ანაზღაურებისათვის სახსრების ფორმირების ახალი მეთოდიკის ჩამოყალიბებას.

— ჩვენი საზოგადოება, ბატონო ოთარ, განიცდის არა მარტო ეკონომიკური, არამედ ზნეობრივი განახლების პროცესს. როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, თქვენი აზრით, ეკონომიკა და ზნეობრიობა, და არსებობს თუ არა ეს კავშირი?

— ზნეობრივი საწყისი არსებობს, უფრო სწორად კი, უნდა არსებობდეს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. სამწუხაროდ, ამ ბოლო ათწლეულებში ჩვენ ნაკლებად ვფიქრობდით ზნეობრიობის თვით ცნებაზე, თორემ არ მივიდოდით დღევანდელ მდგომარეობამდე. ამის მაგალითები უამრავია.

უზნეობაა აშენო სახლები, რომლებიც ნაადრევად ინგრევა, კერო ფეხსაცმელი, რომლის ტარება შეუძლებელია, დაამზადო და გაყიდო კვების ნაწარმი, რომელიც ვნებს ჯანმრთელობას. ყოველივე ეს დანაშაულია, რომელიც უზნეობიდან მომდინარეობს, და ისინი საშინელია არა იმით, რომ მანკიერ წრეში ჩაბმულია უამრავი ადამიანი, ასეთი მდგომარეობისათვის ვზღავთ არა მარტო ჩვენ თვითონ, არამედ ჩვენი შვილებიც. ამას წინათ, მაგალითად, პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სტატსახკომის ცნობები, რომლებიდანაც ჩანს, რომ რესპუბლიკაში ამ ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა ბავშვთა შორის კუჭ-ნაწლავის დაავადებათა რიცხვი. რატომ? ამის მიხვედრა ძნელი არ არის. არადა, იმათ შორისაც, ვინც კაბინეტებში ზის და გადაწყვეტილებებს იღებს, და იმათ შორისაც, ვინც იბრძვის სოციალური და სხვა თავისუფლებებისათვის ქალაქის მოედნებზე და სკვერებში, მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის.

პარტია და საბჭოები მუდმივ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ისინი იყო სკპ XXVII ყრილობის, XIX პარტიული კონფერენციის, სახალხო დეპუტატთა ყრილობის დღის წესრიგში. ყველაფერი როდი მიდის კარგად და სწრაფად, როგორც ეს ჩვენ გვინდა. ძალზე სერიოზულია მიზეზები, რომლებმაც ეს პრობლემები წარმოშვა. ისინი ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ: კომუნისტებმაც, უპარტიოებმაც, მეცნიერებმაც და, რაღა თქმა უნდა, სახალხო დეპუტატებმა, მთელმა საზოგადოებამ.

საუბარს უძღვებოდა
ალა კოკაია,
(საქინფორმის კორესპ.).

დღის წესრიგშია ფუძემდებელი პროექტები

საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

არა მარტო ეს ორშაბათი, არამედ სამშაბათიც ნამდვილად ძნელი იყო საბჭოთა პარლამენტისათვის. და აი რატომ. სამი კვირის მუშაობის მანძილზე უკვე დაგროვდა გარკვეული „ვალები" — მთელი რიგი კანონპროექტები ვერა და ვერ დაამტკიცეს, როგორც ამას აპირებდნენ. ისინი დასამუშავებლად გაუგზავნეს კომიტეტებსა და კომისიებს. ამიტომ, გახსნა რა ორივე პალატის პლენარული სხდომა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. ლუკიანოვმა** დეპუტატებს მოუწოდა უმკაცრესად დაზოგონ დრო, გამოიჩინონ მკაცრი თვითდისციპლინა.

დოკუმენტი, რომლის განხილვითაც დაიწყო დილის სხდომა, ერთგვარად უნიკალურია როგორც პირველი, ისე მეორე სესიის პრაქტიკისათვის. ეს არის კოოპერატივების სავაჭრო-შესასყიდი საქმიანობისა და მოსახლეობისათვის და ორგანიზაციებისათვის კოოპერატივების მიერ რეალიზებული საქონლის (მომსახურების) ფასების რეგულირების შესახებ დადგენილების პროექტის მეოთხე ვარიანტი და მესამე წაკითხვა. ამჯერად, ეს არის მთელი რიგი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების ერთობლივი შემოქმედება, რომლებიც მუშაობდნენ მჭიდრო კონტაქტით მთავრობის ისეთ დაწესებულებებთან, როგორიცაა ფასების სახელმწიფო კომიტეტი და ფინანსთა სამინისტრო.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა **ა. ა. სობჩაკმა**.

კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის მიერ დღეს განსახილველად გამოტანილი პროექტის პრინციპული თავისებურება, თქვა მან, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ უკვე დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულია კოოპერაციის შესახებ მოქმედი კანონის მკაცრად დაცვის საჭიროება. ჩვენ, განაცხადა მან, მოსახლეობას უნდა ჩავუნერგოთ რწმენა, რომ ჩვენ მიერ მიღებული კანონები რამდენიმე ხნის შემდეგ არ შეიცვლება ან არ გაუქმდება, თორემ ეს შეარყევს კანონიერებისადმი რწმენას, სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ ჩვენი წინსვლის შესაძლებლობის რწმენას.

სწორედ ამიტომაც დადგენილების პროექტის ერთ-ერთი პირველი პუნქტი აღნიშნავს, რომ საჭიროა მკაცრი ფორმით მოვთხოვოთ ყველა სახელმწიფო ორგანოს განუხრელად იცავდეს კანონმდებლობას კოოპერაციის შესახებ და სავალდებულოდ მიიჩნევს რომ უნდა გაუქმდეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ის გადაწყვეტილებანი კოოპერატივების ლიკვიდაციის და მათი უფლებების შეზღუდვის თაობაზე, რომლებიც კანონს არ ემყარება, სამწუხაროდ, განაცხადა ორატორმა, ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ აღმასკომები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მასობრივად იღებენ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები გამოსცემენ ბრძანებულებებს ან კოოპერაციული საქმიანობის შეზღუდვის ან მთლიანად მთელი რიგი კოოპერატივების ლიკვიდაციის შესახებ. ამასთან საქმე უკვე ეხება არა მხოლოდ სავაჭრო-შემსყიდველ კოოპერატივებს, არამედ იღებენ გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი კვების, სამედიცინო და სხვა კოოპერატივების აკრძალვის შესახებ.

შეეხო რა პროექტის პრინციპულ ფორმულირებებს, რომლებიც სავაჭრო შემსყიდველი კოოპერატივების გამო ცხარე დისკუსიის მთავარი მიზეზი გახდა, დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინანდელ პროექტებში არ ყოფილა, ახლანდელში კი განმსაზღვრულია დებულება იმის შესახებ, რომ შეუწყნარებელია ბაზარზე შექმნილი სიტუაციის გამოყენება ფასების მომატებისა და გაუმართლებელი შემოსავლის მიღებისათვის. წინადადებაა, აეკრძალოთ ყოველგვარ კოოპერატივებს სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვაჭრობის არა მარტო საცალო, არამედ საბითუმო ქსელში სამრეწველო და სასურსათო საქონლის შესყიდვასთან და მის შემდგომ გადაყიდვასთან. კიდევ ერთი დებულება, რომელიც აგრეთვე საჭიროებს ცვლილებებს კოოპერაციის შესახებ კანონში, ის არის, რომ კოოპერატივებმა, რომლებიც საკუთარი სავალუტო სახსრების ხარჯზე იძენენ იმპორტულ საქონელს, ეს საქონელი მოსახლეობას უნდა მიჰყიდონ საშინაო ბაზარზე ფასებით, რომლებიც სახელმწიფო საცალო ფასებს არ აღემატება.

ორატორი შეეხო აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურების საკითხს, რომელიც აუცილებლად მოუვათ სავაჭრო-შემსყიდველ და საშუამავლო კოოპერატივებს მათი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ბევრი კითხვა მომხსენებლისადმი დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რა სახსრებით უნდა აანაზღაურდეს ზარალი — ადგილობრივი საბჭოებისა, რომელთა შესაძლებლობანი აშკარად შეზღუდულია, თუ საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან, რომლის რეზერვები სამწუხაროდ, ყველა ჩვენგანისათვის ცნობილია.

პლენარული სხდომის დაწყებიდან ორი საათიც კი არ იყო გასული, რომ კენჭისყრის შუქტაბლომ უკვე რამდენჯერმე დაადასტურა — თავმჯდომარის მოწოდებამ მკაცრი თვითდისციპლინისათვის რეალური საპარლამენტო შედეგი მოიტანა. ფაქტობრივად ერთხმად მიიღეს ოთხივე შესწორება „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ" კანონისათვის. ამრიგად, უკვე არსებობს კოოპერატივების სავაჭრო-შემსყიდველი საქმიანობის შესახებ დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველი.

წინა კვირაში დეპუტატებმა დაიწყეს მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონპროექტის განხილვა. მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ი. აბალკინის მოხსენება. დღეს სესია დაუბრუნდა ამ საკითხს.

ლ. ი. აბალკინმა უპასუხა რა დეპუტატთა წერილობით კითხვებს, ადგილი დაუთმო თავის მთავარ ოპონენტს — დეპუტატ **ვ. ხ. ადვაძეს** — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

ახალი კანონპროექტი უნდა გახდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განუყოფელი ნაწილი, განაცხადა ორატორმა კომისიის სახელით. მაგრამ, წარმოდგენილი სახით იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნის ამოცანების შესაბამისად. კომისიის აზრით, მთავარი შენიშვნა პროექტისადმი ის არის, რომ იგი არ ასახავს რადიკალურ ცვლილებებს საბჭოთა ფედერაციაში. საკითხი დღეს უნდა დაისვას არა მოკავშირე და ავტონომიურ ფორმირებებში მეურნეობრიობის სფეროს გაფართოების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია პროექტში, არამედ მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ცენტრი-მოკავშირე რესპუბლიკების გეზზე ზუსტი რეგლამენტაციის შესახებ.

უპასუხა რა კრიტიკას, ლ. ი. აბალკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოუდგენელია სსრ კავშირის, როგორც ფედერაციის წარმატებული ფუნქციონირება, თუ არ იქნა ეკონომიკური ბაზა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში საერთო-საკავშირო საკუთრების სახით. თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავის მუდმივ ორგანოებს დაავალებს ახალი კანონის მომზადებას, აღნიშნა მან, მაშინ მინისტრთა საბჭო იტოვებს უფლებას სესიის განსახილველად წარმოადგინოს თავისი ალტერნატიული ვარიანტი.

თავიანთი კრიტიკული შენიშვნები წარმოდგენილი კანონპროექტის გამო შემდეგ გამართული განხილვის დროს, გამოთქვეს დეპუტატებმა **ნ. ნ. გრიცენკომ, ე. ე. სოკოლოვმა, ვ. ი. ლისიცკიმ, მ. ა. ბოჩაროვმა, ა. ი. ნეუმივაკინმა, ტ. ა. მინულინმა, ვ. მ. ვოლოგჟინმა, ვ. ი. კირილოვმა, ი. ნ. გრიაზინმა, მ. ბ. ამანოვამ** და სხვებმა. საბოლოოდ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო კანონპროექტი პირველი წაკითხვით და მინისტრთა საბჭოს დაავალა დაამუშაოს დოკუმენტი კომიტეტებთან და კომისიებთან ერთად მიმდინარე სესიის განსახილველად უკვე წარმოდგენილი სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით. კანონპროექტის ახალი ვარიანტი პარლამენტს უნდა წარმოუდგინონ 15 ნოემბრისათვის.

საღამოს სხდომა მიმდინარეობდა **მ. ს. გორბაჩოვის** თავმჯდომარეობით. დეპუტატები შეუდგნენ სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტის განხილვას.

კანონპროექტის გამო დაწვრილებითი მუხლებრივი კომენტარები წარმოადგინა ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის წევრმა **ა. ნ. ბოიკომ**. მან განაცხადა რომ დიდი და დაძაბული მუშაობის შემდეგ დეპუტატთა სამსჯავროზე გამოტანილია კანონპროექტის ერთიანი ვარიანტი, რომელშიც აისახა ყოველივე საუკეთესო, რაც დაგროვდა ალტერნატიულ წინადადებებში. არსებითად, მხოლოდ ერთი მისი მუხლია მოცემული ორ ვარიანტად, ხოლო მთელი რიგი მეორეხარისხოვანი დებულებების გამო არ გამოიძებნა საერთო აზრი. ამრიგად, აღნიშნა ორატორმა, ჩვენ გავედით დიადი ისტორიული მოვლენის ზღურბლზე: გადავაბიჯებთ თუ არა მას, ეს დამოკიდებულია ჩვენს გონიერებაზე, პოლიტიკურ ნებაზე და, რაც მთავარია, უნარზე, რომ ვიხელმძღვანელოთ არა აბსტრაქტული იდეალებითა და იდეებით, არამედ დღევანდელი დღის რეალიებით.

საკუთრების შესახებ კანონს ჩვენი ხალხი განსაკუთრებულ იმედებს უკავშირებს, თქვა კანონმდებლობების, კანონიერებებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ხ. კალმიკოვმა**. მათ შორის მთავარია წარმოების საშუალებებისაგან მუშაკის გაუცხოების აღმოფხვრა. თუ ჩვენ შევქმნით საკუთრების შესახებ კარგ კანონს, კარგად იმუშავებს სსრ კავშირის მომავალი კონსტიტუციაც. საკმაოდ გააზრებული იქნება სხვა ეკონომიკური კანონებიც — საწარმოს შესახებ, მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ, არენდის შესახებ.

ამრიგად, საკუთრების შესახებ კანონს ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, განაცხადა ორატორმა, ჩვენ კომიტეტებში ამ პირველი წაკითხვის შემდეგ კანონზე უნდა ვიმუშაოთ საკმაოდ დიდხანს, ჩემი აზრით, ორი თვე, ხოლო შემდეგ გამოვაქვეყნოთ პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

შემდეგ დაიწყო დისკუსია შემოტანილი კანონის პროექტის გამო. იგი გაგრძელდა 17 ოქტომბერს, როცა დეპუტატები შეიკრიბნენ მორიგ პლენარულ სხდომაზე.

სამუშაო დღის ბოლოს დეპუტატებმა მოისმინეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის **ვ. ვ. ბაკატინის** ინფორმაცია. 29 სექტემბერს, თქვა მან, მოსკოვის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილისაგან მივიღეთ ინფორმაცია, რომელშიც ამხ. ელცინის ზეპირი განცხადების საფუძველზე ნათქვამი იყო, თითქოს მას თავს დასხმოდნენ. დაიწყო გამოძიება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ ობიექტური დადასტურების გარემოებანი არ აღმოჩნდა. ბორის ნიკოლოზის ძესთან ჩემი საუბრის დროს 30 სექტემბერს, თქვა მინისტრმა, თავად ამხ. ელცინმა განაცხადა, რომ საჭირო არ არის არავითარი გამოძიება, რადგან თავდასხმის ფაქტი არ ყოფილა.

შემდეგ გამოვიდა **ბ. ნ. ელცინი**, რომელმაც თქვა, რომ დაურეკა მინისტრს მეორე დღეს; გამომძიებელს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც რეკავდნენ, აინტერესებდათ ამბავი. განუცხადა, რომ არ ყოფილა არავითარი თავდასხმის ფაქტი. არავითარი წერილობითი განცხადებანი არ გამიკეთებია, არავითარი პრეტენზიები შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი არა მაქვსო.

17 ოქტომბერს სესია მუშაობას განაგრძობდა.

ს. ვოზიანოვი, ა. შელეზნოვი, ვ. ოლეინიჩენკო, ა. პეტროვსკი, ვ. შიშლინი.

მოვლენათა ქრონიკა

გეგმა — გადაჭარბებით

ზესტაფონი. („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის კვების პროდუქტების სალებავების ქარხანა ამ ათიოდე წლის წინათ დაარსდა, მაგრამ მის კოლექტივს უკვე კარგი შრომითი ტრადიციები აქვს. იგი ახლაც კარგად მუშაობს. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა შესრულდა 184,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი გაიზარდა 121,6 პროცენტით. დიდი გადაჭარბებით — 230,4 პროცენტით შესრულდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებაც. წარმოების მოგებამ საგეგმო 225 ათასის ნაცვლად 405 ათას მანეთს გადააჭარბა, თვითღირებულება 21 ათასი მანეთით შემცირდა.

ახლახან ქარხანას ზესტაფონის ტერიტორიაზე გამოეყო ფართობები და შენობა-ნაგებობები, რომლის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვის შემდეგ ერთიორად გაიზრდება წარმოების მოცულობა.

შრომის კარგ მაგალითს იძლევიან ჩამომსხმელი თინა ებანოიძე, შემფუთავი იზო გელაშვილი, ცეცხლფარეში ვაჟა ებანოიძე და სხვები.

▼▼

კვლავ ცისფერ გზებზე

ბათუმი. („კომუნისტის" საკ. კორ.). გემების ექსპლოატაციის ვადა საშუალოდ 20-30 წელიწადია, შემდეგ იწყება მათი კაპიტალური რემონტი.

საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს რამდენიმე გემს საექსპლოატაციო ვადა უკვე გაუვიდა. ფლოტი განახლებული, გარემონტებული გემებით შეივსო.

ახლახან ჩვენს სანაოსნოს შეემატა თბომავალი „დავით აღმაშენებელი". იგი 1985 წელს ააშენეს იაპონელებმა. მადანმზიდის ტვირთამწეობა 88.280 ტონაა.

„დავით აღმაშენებლის" კაპიტნად დანიშნულია გამოცდილი ზღვაოსანი ზურაბ პატარიძე. ეკიპაჟმა უკვე ჩაიბარა გემი.

▼▼

მწყობრში ჩადგა ბაგა-ბაღი

გორი. („კომუნისტის" საკ. კორ.). მებოსტნეობის სასათბურე მეურნეობის შრომითი კოლექტივი მრავალი სიახლის მოთავეა. ახალი მუშათა სასადილო, საცხოვრებელი სახლი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედანი მეურნეობის თანხებითა და მუშა-ხელით აშენდა.

ამ დღეებში კიდევ ერთი ობიექტი გადასცეს საექსპლოატაციოდ — მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა. იგი 44 ათასი მანეთი დაჯდა. ამასთან ბაგა-ბაღის ოთახები სამი ათასი მანეთის ახალი ინვენტარითა და დგამ-ავეჯით დაამშვენეს.

კოპწია, გემოვნებით მორთულ დარბაზებში დილიდანვე პატარების ჟრიამულია. მათ სწავლა-აღზრდას გამოცდილი პედაგოგები ემსახურებიან. მეურნეობამ პატარების უფასო კვებაზეც იზრუნა.

განვიხილავთ საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს

განზოგადება და გარკვეულობა

ამჟამინდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნოკრიზისები და ქვეყანაში სხვადასხვა არასასურველი მოვლენები შემთხვევითი არ არის, რადგან ყოველი ნგრევა გარკვეულ „უწესრიგობას“ იწვევს. როგორც ვიცით, ინგრევა ტოტალიტალური სახელმწიფო თავისი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის მეთოდებით. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ხერხებით, გარდაქმნას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, რომლის მიზანია ეკონომიკაში, პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემაში არსებული დეფორმაციების აღმოფხვრა და ახალი, უფრო სრულყოფილი სტრუქტურის შექმნა. ამ საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული რესპუბლიკის განვითარების კონცეფციის პროექტი.

კონცეფციაში უაღრესად მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიზნის ჩამოყალიბება. პრეამბულაში ასეთ მიზნად ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით საშუალო საკავშირო მაჩვენებლების მიღწევა ითვლება. მიმაჩნია, რომ ეს მიზანი არ შეიძლება იყოს სტრატეგიული, რადგან ფასწარმოქმნაში არსებული ნაკლოვანებები ასეთ შედარებას არაობიექტურს ხდის. და თუ ჩამორჩენა კიდეც არის, მისი დაძლევა დროის მცირე მონაკვეთშიც შეიძლება. ამჟამად საშუალო საკავშირო დონე არც ერთი ევროპული ქვეყნისათვის ეტალონი არ არის და არც ჩვენთვის უნდა იყოს მისაღები. მით უმეტეს ქვევით ვკითხულობთ, რომ უმთავრესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, შესაბამისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მომწიფების კვალობაზე სამართლებრივი გზით რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მოპოვება. საკავშირო დონე შეიძლება იყოს მხოლოდ მოცემულ ეტაპზე ტაქტიკური მიზანი.

მიმაჩნია, რომ პუნქტი 1.1. ძირითადად პრეამბულაში უნდა იყოს და დარჩეს მხოლოდ ის, რაც შეეხება ბოლო აბზაცს და გაერთიანდეს პუნქტ 1.4.-ში შემდეგი რედაქციით: საქართველოს კომუნისტური პარტიის სტრატეგიული და უმთავრესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გადამწყვეტი და კარდინალური გაუმჯობესება შესაბამისი პოლიტიკური და სოციალური მომწიფების კვალობაზე სამართლებრივი გზით რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის მოპოვება და მისი სამართლებრივ სახელმწიფოდ გადაქცევა. რაც შეეხება დანარჩენს, აღნიშნული პუნქტებიდან უნდა ამოვიღოთ, რადგან თვით კონცეფციას არაფერს მატებს.

გაუგებრად არის ჩამოყალიბებული 1.3. პუნქტი, ვინაიდან მკაფიოდ არ ჩანს, თუ რის მემკვიდრეობას იცავს ეროვნული კონცეფცია. ჩემი აზრით, მან უნდა მიიღოს შემდეგი რედაქცია: ეროვნული განვითარება მტკიცედ უნდა ემყარებოდეს მემკვიდრეობითობის პრინციპს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩვენი ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, სრული ისტორიული სამართლის აღდგენას, ხალხის ისტორიული ხსოვნის პატივის მიგებას.

ამიტომ ცხადია, რომ პუნქტმა 1.5. უნდა მიიღოს შემდეგი სახე: დასახული მიზნის შესაბამისად თანამედროვე ობიექტური რეალობისა და მოკავშირე რესპუბლიკების სრული სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის გათვალისწინებით დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრ კავშირში მათი გაერთიანების შესახებ. შემდეგ როგორც ტექსტშია მოცემული, მხოლოდ სადაზღვევო და სხვა მარაგები სტრატეგიული მარაგებით უნდა შეიცვალოს, რადგან სადაზღვევო მარაგები მხოლოდ საწარმოს დონეზე იქმნება.

პუნქტ 1.6.—ში ლაპარაკია იმაზე, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრე მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებაა და მხოლოდ და მხოლოდ ისაა მათი განმკარგულებელი. ვინაიდან ნავარაუდევია საკუთრების პლურალიზმი, ამიტომ მიმაჩნია, რომ ბოლო აღნიშნული პუნქტის ორმა სტრიქონმა მიიღოს შემდეგი რედაქცია: მხოლოდ საზოგადოება განსაზღვრავს ადამიანის ქონების რა ნაწილი შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეობით და რა ნაწილი სახელმწიფოს გამგებლობაში. გადასახადების მიხედვით მემკვიდრეობაზე და უძრავ ქონებაზე. სახელმწიფო განსაზღვრავს კანონებს, რომელთა საფუძველზე მოქალაქე შესაბამისი საზღაურით თმობს თავის ქონებას.

პუნქტი 1.8.-ში ვკითხულობთ: „კონსტიტუციურ-საკანონმდებლო საქმიანობის თვისებრივი გაუმჯობესების პირველივე ეტაპზე გაანალიზდება და რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა გათვალისწინებით გადაწყდება მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სსრ კავშირის ფინანსების რესპუბლიკაში მოქმედების წესი, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გაპროტესტებისა და მოქმედების წესი, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გაპროტესტებისა და მოქმედების შეჩერების ჩათვლით...“

ჯერ ერთი, ანალიზის სხვადასხვა ხარისხის დონე არსებობს. ამჟამად ანალიზი მეცნიერული უნდა იყოს. ამას ვაღწევთ მხოლოდ კომპლექსური და სისტემური ანალიზის საშუალებით. ტექსტიდან ისე გამოდის ვითომ პარტია წყვეტდეს კანონების მოქმედების წესს. ეს ხომ ასე არ არის. კანონების დადგენის ფუნქცია— უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ 1.8. პუნქტმა შემდეგი რედაქცია მიიღოს: კომპლექსური და სისტემური ანალიზის საფუძველზე მოხდება კონსტიტუციურ-საკანონმდებლო საქმიანობის შესწავლა და რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა გათვალისწინებით სსრ კავშირის კანონების რესპუბლიკაში მოქმედების წესის განსაზღვრა, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გაპროტესტებისათვის და მოქმედების შეჩერებისათვის, მიგრაციული პროცესების რეგულირებისათვის, წვევამდელთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესის დადგენისათვის, ეროვნული საჯარო ფორმირებების შექმნისათვის, მიწათსარგებლობის სრულყოფისათვის ღონისძიებების განხორციელება.

კონცეფციის ქვაკუთხედია დემოკრატიზაცია და საჯაროობა, ამიტომ პუნქტი 1.10. შემდეგნაირად წარმომიდგენია: დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პოზიციებიდან გადაწყდება საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსი და სრულად იქნება გათვალისწინებული რესპუბლიკაში ტრადიციულად მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესები და მათი ერთმანეთთან შეხამება და შეწონასწორება.

პუნქტ 2.1.-ში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საჭიროა სხვადასხვა საკავშირო საკუთრებაში მყოფი ობიექტების რესპუბლიკის გამგებლობაში გადაცემა და მათი რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად გამოყენება, რაც მისი დამოუკიდებლობის საფუძვლად არის მიჩნეული.

რას ნიშნავს ერთადერთი გამგებელი? თუ ეს მართვას ნიშნავს, მაშინ შესაძლებელია დიქტატმა ერთი დონიდან მეორეზე გადაინაცვლოს. იმისათვის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ფართოდ ჩაებას არა მარტო ქვეყნის, არამედ საერთაშორისო შრომის დანაწილებაში და ფული ნამდვილად გახდეს კონვერტირებადი, საჭიროა საწარმოს თვითორგანიზებად, თვითდამსწავლელ სამეურნეო სისტემად გადაქცევა და მისთვის ყველა იმ უფლების მინიჭება, რომლებიც ნებისმიერი საბჭოთა რესპუბლიკების და საზღვარგარეთის ქვეყნების მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან პირდაპირ კავშირებს უზრუნველყოფს. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესაძლებელი უნდა იყოს სხვა ქვეყნების კაპიტალის რესპუბლიკაში ინვესტირება, რაც ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, მშრომელების ცოდნისა და პროფესიონალიზმის დონის ზრდას გამოიწვევს. ამიტომ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, რომ რომელიმე ქვეყნის ან მოკავშირე რესპუბლიკის ორგანიზაციას ჰქონდეს თავისი ფილიალი საქართველოში და ეს მისი საკუთრება იყოს. ასეთი რამ ხომ ამჟამინდელი კანონმდებლობითაც შეიძლება. შექმნილია და ფუნქციონირებს ერთობლივი საწარმოები. მთავარია არ იყოს ცენტრალიზებული დარგობრივი დიქტატი. ამის საწინდარი ისევ და ისევ არის საწარმოთა დამოუკიდებლობა, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია და სხვა.

პუნქტი 2.6., ჩემი აზრით, საჭიროებს კორექტირებას, რაც იმით უნდა გამოიხატოს, რომ მასში აისახოს, რის საფუძველზე მოხდება აღნიშნული პრიორიტეტული დარგების განვითარება. მაგალითად, ამ დარგებისათვის რეგრესიული გადასახადების დაწესებით, წარმოებისათვის თავისუფალი ზონების შექმნით და სხვა.

პუნქტი 2.10.-ში ლაპარაკია იმაზე, რომ თანამიმდევრულად განხორციელდება ეკონომიკის სფეროში ეროვნული სტრუქტურული პოლიტიკა. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯელობა ეხება ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის ან მისი სოციალური გარდაქმნის პოლიტიკას იმის გათვალისწინებით, თუ როგორი იქნება საშინაო და საგარეო ბაზარი და რა შესაძლებლობა აქვს რესპუბლიკას.

როგორც კონცეფციის 2.11. პუნქტი არკვევს, რესპუბლიკის სრული კომპეტენცია გახდება მთელი სამშენებლო საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვა და გაძღოლა. კი მაგრამ, თუ ჩვენ ვისწრაფვით იმისაკენ, რომ შეიქმნას სოციალისტური ბაზარი, მოხდეს მართვის დეცენტრალიზაცია, მაშინ ცენტრალიზებული დაგეგმვა ისევ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაკენ გვიბიძგებს. ამიტომ, ვფიქრობ, რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციაა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და პირველ ხანებში ნაკლებად ეფექტიანი, მაგრამ ქვეყნისათვის საჭირო მშენებლობები უნდა აწარმოოს და ეს კონცეფციაში შესაბამისად აისახოს.

კონცეფციის განხორციელების შედეგად მოსახლეობა და ყოველი მოქალაქე მეურნეობის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი და გამგებელი უნდა გახდეს. მაგრამ მასში ლაპარაკია გამგებლის გრძნობის ჩამოყალიბებაზე, ე. ი. განწყობის შექმნაზე. აქსიომაა, რომ მისი შექმნა ლოზუნგებზე კი არა, საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული, რადგან მას ამ შემთხვევაში საკუთრების გაყიდვის, შეძენისა და განვითარების და ამის შედეგად გარკვეული სარგებლის მიღება შეუძლია. ამიტომ გრძნობის ჩამოყალიბებას შესაბამისი პირობების შექმნა სჭირდება. ჩემი აზრით, ბოლო ორი წინადადება 2.15. პუნქტში ზედმეტია.

კონცეფციაში დიდი ადგილი სოციალურ სფეროს და სოციალურ ურთიერთობებს უკავია. პუნქტ 3.1.-ში ასახულია რესპუბლიკის სოციალურ სფეროში არსებული მდგომარეობა, რაც, რა თქმა უნდა, კონცეფციის პრეამბულაში უნდა იყოს. ამით თვით კონცეფციის მოცულობაც მოიკლებს და მისი აღქმაც გაადვილდება. ზედმეტად მიმაჩნია პუნქტ 3.2.-ის პირველი ნაწილი და ეს პუნქტი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: შეიქმნას მკვიდრი მოსახლეობის არსებობისათვის საიმედო ეკონომიკური გარანტიები (ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რა გარანტიები იქნება). ამასთან არ უნდა შეილახოს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების ინტერესები. გამოვლინდეს და ამოქმედდეს სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მატერიალური წანამძღვრები და ა. შ. მიმაჩნია, რომ საერთოდ უფრო კონკრეტული უნდა იყოს თვით ინტერესების გათვალისწინების სისტემა, სოციალური სამართლიანობის პრინციპი და სხვა. ამიტომ 7.1. პუნქტმა უნდა მიიღოს შემდეგი სახე: რესპუბლიკის კომუნისტური პარტია ყოველთვის დაიკავებს აქტიურ პოზიციას და არ დაელოდება მზამზარეულ გადაწყვეტილებებს, რათა გადაიჭრას, ეროვნული, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების პრობლემები, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით როგორიცაა ეროვნებათშორისი ურთიერთობები, ეროვნულ-ისტორიული თავისებურებები და პერსპექტიული ამოცანები.

მიმაჩნია, რომ პუნქტმა 7.2. მიიღოს შემდეგი სახე: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია წამყვან, ავანგარდულ როლს შეასრულებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესებში, მათ გაღრმავებაში, მართვასა და რეგულირებაში.

და ბოლოს, ჩემი წინადადებაა შემუშავდეს მნიშვნელოვანი პროექტების დასაბუთებული განხილვის სისტემა.

რამინ მითაიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

არის ასეთი სკოლა

ხარაგაულის რაიონში, სოფელ ხუნევთან, ცენტრალური გზის ზემოთ, მთებში მიიკლაკნება საავტომობილო გზა, რომელსაც წაბლის ტყეში ჩაფლულ სოფელ გედსამანიაში შევყავართ.

სოფელში სულ 98 კომლია. გედსამანიელები ჩაბმული არიან საკოლმეურნეო შრომაში, მოჰყავთ ყურძენი, სიმინდი, ბოსტნეული, აწარმოებენ ხორცს, ამზადებენ ხილს.

აქაურები თანამედროვე სოფლის ყველა სიკეთით სარგებლობენ, მაგრამ სოფლის თვალი მაინც რვაწლიანი სკოლაა, სადაც წელს მეოცედ ჩამორეკა ახალი სასწავლო წლის მაუწყებელმა ზარმა.

სოფელმა ააშენა ეს სკოლა, რომელსაც იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პედაგოგი ბიჭიკო ლომიძე. მან შემოიკრიბა ადგილობრივი პედაგოგები და დაამკვიდრა შემოქმედებითი ძიების ატმოსფერო.

საკლასო ოთახებში და კაბინეტებში ყველაფერი დირექტორის უშუალო მონაწილეობით დამონტაჟდა. აქ რეგულარულად მუშაობს სასკოლო რადიოკვანძი და კვირაში ერთხელ გამოდის რადიოგაზეთი. მუშაობს ლინგოფონის კაბინეტი, რაც დიდად ეხმარება ყმაწვილებს გერმანული ენის დაუფლებაში.

ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტში, სხვა სასწავლო დანადგარებთან ერთად, მოქმედებს ჯგუფური გამოთვლითი მანქანა, რომელზეც მოსწავლეები შესრულებული დავალების სისწორეს ამოწმებენ.

სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ისტორია-გეოგრაფიის, უცხო ენის, რუსული ენის და ლიტერატურის, ქართული ენის და ლიტერატურის კაბინეტები, ფიზკულტურის დარბაზი. ცალკეა ბიბლიოთეკა და პიონერთა ოთახი.

ყურადღებას იპყრობს სასკოლო სახელოსნო ათი სამუშაო ადგილით. აქ დგას ფრეზი, კომბინირებული, საბურღი და სალესი ჩარხები, ლითონის დასამუშავებელი ჩარხი. აქ მოსწავლეები ეუფლებიან ხისა და ლითონის დამუშავების ტექნოლოგიას.

პირველი კლასის კაბინეტში დამონტაჟებულია მათემატიკის საანგარიშო მანქანა, მაგნიტური და ანბანის შესასწავლი დაფა, მაგნიტური [illegible].

ყველა კაბინეტშია ავტომატური [illegible], რომელიც [illegible] ბილობას.

ტექნიკური აღჭურვილობის ასეთ დონეს ბევრი სოფლის სკოლა ვერ დაიკვეხნის. და ეს ყველაფერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საშეფო ურთიერთობის, განსაკუთრებით კი აქ მომუშავე მეცნიერი მუშაკების, ძმების ნოდარ და გიზო კეთილაძეების დახმარებით გაკეთდა.

კეთილმოწყობილია სპორტული მოედანი სახტომი და სარბენი ბილიკებით. სანიმუშოა სკოლის საცდელი ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები ატარებენ ცდებს და დაკვირვებებს ბიოლოგიის პროგრამის მიხედვით, სწავლობენ მეფუტკრეობას (ეს დარგი ამ სოფლისთვის ტრადიციულია).

სკოლის მთელი კოლექტივი აქტიურად არის ჩაბმული სოფლის ცხოვრებაში. მათი ძალებით შარშან შეგროვდა ერთი ტონა თივა, 300 კილოგრამი წაბლი მოიკრიფა, ორი ტონა ვაშლი, გააკეთეს ჩელტები აბრეშუმის მურისათვის, მონაწილეობა მიიღეს ხორცის დამზადებაში, რთველში, სიმინდისა და ჩალის დაბინავებაში.

გამოცდილ პედაგოგებთან სულიკო ჩადუნელთან და შოთა ტაბატაძესთან ერთად წარმატებით შრომობენ ახალგაზრდა პედაგოგები მაია ლომიძე და ნათელა ხაჩიძე, გოჩა და ნანული ჩადუნელები, ელგუჯა გელაშვილი და ლია ლომიძე.

სკოლა ყოველმხრივ მზად შეხვდა ახალ სასწავლო წელს. შემოტანილია სახელმძღვანელოები, პროგრამები, მეთოდიკური ლიტერატურა.

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, რამდენი მოსწავლეა ამ სკოლაში. — ჯერ მხოლოდ — 38, მაგრამ, კონტინგენტი ყოველწლიურად მატულობს. იზრდება სკოლა, ფართოვდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მასშტაბები.

ჰენრი შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გარდაქმნის პირმშო

ეკონომიკური შეჯიბრება დროის მოთხოვნაა

გარდაქმნა ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს მოიცავს, მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების ფორმებსაც, რომელიც აშკარად ჩამორჩა დროის მოთხოვნებს, დამახინჯდა მისი არსი. მასების ცოცხალი შემოქმედებიდან სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა ზემოდან ნაკარნახევი გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების საკონტროლო ციფრების შესრულების ფორმალურ აღნუსხვად, როგორც წესი, ყოველივე ეს ხდებოდა შრომითი კოლექტივების აზრის უგულებელყოფით, რამაც ძალზე ავნო შეჯიბრების დემოკრატიულ ბუნებას, დაამახინჯა ადამიანის ფსიქოლოგია.

ასეთი „მემკვიდრეობის“ დაძლევა ხანგრძლივ, თავდადებულ მუშაობას მოითხოვს და პირველ რიგში აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან პროფკავშირებმა, მაგრამ პროფკავშირების დარგობრივი და ტერიტორიული საბჭოები ჯერჯერობით რიგიანად ვერ წარმართავენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კმაყოფილდებიან არაფრისმთქმელი თათბირებისა და კრებების მოწყობით, ადგენენ ფორმალურ ანგარიშებს, იღებენ მრავალრიცხოვან დირექტიულ დადგენილებებს და შრომით კოლექტივებს თავს ახვევენ მოჩვენებით ინიციატივებს. ამის შესახებ საკავშირო პროფკავშირების XVIII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა სამართლიანად აღნიშნა: „პროფკავშირები შეეგუენ იმას, რომ არ არის ნამდვილი შეჯიბრება, შეეგუენ მოჩვენებითობას, შეჯიბრების ფორმების სიუხვეს, ქაღალდომანიას. ერთი სიტყვით, კაცი ვერ გაერკვევა იმდენად აბურდულ-დაბურდულია აქ ყველაფერი. ზოგჯერ ისიც კი გვეჩვენება, რომ პროფკავშირების მეშვეობით შეჯიბრების სფეროში ამოქმედებულია რაღაც „ქაღალდის ძრავა“, რომელსაც უნარი შესწევს იბრუნოს იმის მიუხედავად, ეჯიბრება ვინმე ერთმანეთს თუ არა?“

შეჯიბრებას ახალი სიცოცხლე რომ დავუბრუნოთ, უნდა ჩამოვაცილოთ ფორმალიზმი და მოჩვენებითობა, დავგეგმოთ დაუსაბუთებელი ვალდებულებების აღების, ეგრეთ წოდებული „თაოსნობის“ მავნე პრაქტიკა, შეჯიბრება გავხადოთ მიწიერი, დავუმორჩილოთ ბრიგადის, საამქროს, საწარმოს, ქვეყნის ამოცანებს, ვაქციოთ მშრომელებისათვის მიმზიდველ და სასარგებლო საქმედ.

შეჯიბრების დეფორმაცია დაიწყო დიდი ხნის წინათ ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი მეთოდების დანერგვით, შრომითი კოლექტივების აზრის უგულებელყოფით, საზოგადოების უდიდესი ნაწილის გადაქცევით თვინიერ, დარბაზის „შემავსებ“ მასად.

სოციალისტური შეჯიბრების გაუფასურებას განაპირობებდა აგრეთვე არა შრომის მიხედვით ანაზღაურება, არამედ „გათანაბრების“ ფსიქოლოგიის დანერგვა, კანონების უგულებელყოფა, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის შესუსტება, საზოგადოების სულიერი განწყობილების, ზნეობრივი ატმოსფეროს გაუარესება.

ასეთ პირობებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და მართვის არსებული სისტემა მოძველდა და რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ წარსულის მემკვიდრეობაზე. მრავალ თაოსნობას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. შემთხვევითი როდია, რომ სკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა დამკვრელობისა და სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობას. დღესაც, — თქვა მან, — აქტუალურია მოთხოვნა სამუშაო ადგილის რაციონალიზაციის შესახებ, გაბედული ძიება შაბლონისა და ტრაფარეტების დასაგმობად.

სტახანოვი, იზოტოვი, ბუსიგინი, კრივონოსი, ლუნინი, ვინოგრადოვები, ჭიჭინაძე, კუბლაშვილი, სამხარაძე... სამუდამოდ დარჩნენ ხალხის მეხსიერებაში, გადაიქცნენ საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის სიმბოლოდ. შეჯიბრების ძველი ფორმებიდან დღესაც შეიძლება ბევრი რამ გონივრულად გამოვიყენოთ.

მაგალითისთვის უნდა დავასახელოთ სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე ფართოდ გავრცელებული შეჯიბრების ისეთი ფორმები, როგორიც იყო კომუნისტური შაბათობები, დამკვრელობა, საზოგადოებრივი „ბუქსირი“, სტახანოვური მოძრაობა, დიდი სამამულო ომის წლებში აღმოცენებულ ორასეულთა, ათასეულთა, მრავალდაზგიანთა, პროფესიების შემთავსებელთა, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების მოძრაობა. შეჯიბრების ეს ფორმები ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ქვეყნის განვითარების ტემპის დაჩქარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროთა განმავლობაში სოციალისტურმა შეჯიბრებამ დეფორმაცია განიცადა, ფორმალური ხასიათი მიიღო. ფორმალიზმის დაძლევის მიზნით თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ შეჯიბრებას. იგი გარდაქმნის პირობებში შეჯიბრების ყველაზე საუკეთესო ფორმაა. მისი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპია საჯაროობა, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა ინიციატივის განვითარებას, შიგასაწარმოო რეზერვების ეფექტიან გამოყენებას, სიახლეთა გაბედულ დანერგვას, ნოვატორობას, კოლექტივიზმის დამკვიდრებას, მაღალი საზოგადოებრივი შეგნებისა და დისციპლინის გამომუშავებას.

ეკონომიკური შეჯიბრება იმ საწარმოთა თავისებური მეტოქეობაა, რომლებიც ერთი ტიპის პროდუქციას უშვებენ. იგი სამეურნეო ანგარიშის პირობებში მაღალი ხარისხის საქონელზე მომხმარებელთა მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაშლილი შეჯიბრებაა და ზედმიწევნით შეესაბამება გარდაქმნის მიზნებსა და ამოცანებს.

ეკონომიკური შეჯიბრება ამსხვრევს მექანიზმს, რომელმაც ფორმალურად აქცია შეჯიბრება, ხელს უწყობს ისეთი ეფექტიანი, დინამიური მექანიზმის შექმნას, რომელიც ავითარებს მშრომელთა თვითმოქმედებას, ხელს უწყობს წესრიგის დამყარებას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, ზნეობრივი ატმოსფეროს გაუმჯობესებას, შეჯიბრებისადმი ინტერესის ზრდას.

ეკონომიკურ შეჯიბრებაში მთავარი არბიტრი მომხმარებელია, ამიტომ ყოვლად მიუღებელია მწარმოებლის დიქტატი მომხმარებელზე.

მომხმარებელს უნდა ჰქონდეს პროდუქციის არჩევის საშუალება, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მწარმოებელი აიძულო პატივი სცეს მომხმარებლის ინტერესებს. არადა, სწორედ მომხმარებელია ჩვენი მთავარი ორიენტირი. ამას ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ.

მაგალითად, დიდი ხნის მანძილზე ტელევიზორებს უშვებდნენ მხოლოდ სამრეწველო კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოები, რამაც საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედა პროდუქციის ხარისხზე. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება დაიწყო მას შემდეგ, რაც ტელევიზორების გამოშვება ელექტრო მრეწველობის სამინისტროსაც დაევალა. მეტოქის გამოჩენამ შესაძლებელი გახადა დაძლეულიყო „წარმოების დიქტატი“, გაუმჯობესებულიყო პროდუქციის ხარისხი. ეკონომიკური მეტოქეობის, სოციალიზმის პირობებში კონკურენციის უფრო ფართოდ გაშლა, პირველი გაუბედავი ნაბიჯებიდან მიზანსწრაფულ მოქმედებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, შრომით მეტოქეობაში წარმატების მოპოვებას.

ბუნებრივია, რომ ამჟამად იზრდება ინტერესი ეკონომიკური შეჯიბრებისადმი, რადგან გამარჯვებულ კოლექტივში მნიშვნელოვანი სახსრები ემატება მატერიალური წახალისების, საბინაო მშენებლობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდს. ამიტომ უკეთესი შედეგების მიღწევით დაინტერესებულია მთელი კოლექტივი, მისი თითოეული წევრი.

საწარმოთა დამოუკიდებლობა, მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე ქმნის ეკონომიკური შეჯიბრების განვითარების საუკეთესო პირობებს. ახალ სამეურნეო პრინციპზე გადასვლით გაიზრდება ეკონომიკური შეჯიბრების სფერო, დაიზოგება მატერიალური და ენერგორესურსები, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, გაიზრდება სტიმულირება. ასეთ პირობებში ეკონომიკური შეჯიბრება გახდება საწარმოო ძალების აქტივიზაციის, შრომითი კოლექტივის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მეტოქეობის საუკეთესო ფორმა, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრების თანამედროვე სახე მიიღო.

ეკონომიკური შეჯიბრება ხელს უწყობს საწარმოთა შორის ურთიერთკავშირის განვითარებას. ცნობილია, რომ სრული სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება ფართო გზას უხსნის საწარმოების ურთიერთსაქმიანობით დაინტერესებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთდახმარებას, კეთილსინდისიერ პარტნიორობას.

საწარმოთა უფლებების გაფართოება, მათი დამოუკიდებლობა მკაფიოდ აისახა კანონში სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „საწარმოს აქვს უფლება გადასცეს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გასცეს, მისცეს დროებით სარგებლობაში უფასოდ ან სესხად გამოუყენებელი შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი... მატერიალური და ფულადი რესურსები... სხვა საწარმოებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ საწარმოებისათვის სამუშაოებს ან უწევენ მომსახურებას“.

საწარმოთა შორის ეკონომიკური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას პირველ რიგში ყურადღება უნდა დაეთმოს სახელშეკრულებო დავალებათა შესრულებას, პროდუქციის ხარისხის, მატერიალური რესურსების ეკონომიას. იგივე მაჩვენებელი უნდა დაედოს საფუძვლად თითოეული მუშაკის მატერიალურ სტიმულირებას.

ეკონომიკური შეჯიბრება გარდაქმნის პირმშოა, დროის მოთხოვნა, ობიექტური აუცილებლობაა. იგი უნდა იქცეს შეჯიბრების საყოველთაო ფორმად, დაჩქარებისა და გარდაქმნის ხელშემწყობ ფაქტორად, ურთიერთდახმარების კოლექტივიზმისა და გამოცდილების გაზიარების სკოლად.

კონსტანტინე ტოტოჩავა,
პროფესორი.

ახალი პლანტაციებისათვის

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სოხუმის ფილიალის ექსპერიმენტული მეურნეობა „დაჩიდან“ რესპუბლიკისა და კრასნოდარის მხარის მრავალ მეჩაიეობის მეურნეობაში დაიწყო ჩაის სელექციური ჯიშების, აგრეთვე ფეიხოას, ლიმონისა და მანდარინის, კაკლის ნერგების გაგზავნა.

ყოველწლიურად აქ გამოჰყავთ ჩაის ისეთი უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშების დაახლოებით სამი მილიონი ნერგი, როგორიც არის კლონი „კოლხეთი“, „მაცესტური“, „კიმინი“.

სურათზე: „დაჩის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტული მეურნეობის მუშაკები გასაგზავნად არჩევენ ჩაის კლონის „კოლხეთის“ ნერგებს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ჭოროხს გაღმა სოფელია

მახო და მახოელები

ნარკვევი

ჭოროხს გაღმა, მთის ფერდობებზე გაშენებულია სოფელი მახო. აქ ყველაფერს მახო ჰქვია, მთასაც, მდინარესაც და სოფელსაც. ჩემს ბავშვობაში, სოფელში აქა-იქ მოჩანდა ფიცრული სახლები. ფერდობები საუკუნოვანი წიფლის ხეობა და ეკალ-ბარდით იყო დაფარული. მაშინ არც გზა იყო და სარჩო-საბადებელი მცხოვრებლებს ცხენით აჰქონდათ. ერთადერთი, რაც უხვად მოეძევებოდათ, შეშა იყო, მაგრამ მისი დამუშავება და გასაღება არც ისე ადვილი გახლდათ.

მოგვიანებით ფერდობები ჩაის პლანტაციებითა და ციტრუსის ბაღებით დაიფარა. იმხანად ჭოროხზე ვეებერთელა ხიდი ააგეს, რომელზეც ციცხვიანი ტრაქტორი გუგუნით გაღოღდა, გეზი მახოს დაკიდებული გორაკებისაკენ აიღო და საცალფეხო ბილიკები საავტომობილო გზებად აქცია.

ასე თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ იცვალა სახე სოფელმა. ადრე თუ ტოვებდნენ მახოს, შემდეგ ციტრუსებსა და ჩაის პლანტაციებს დანატრულებული აჭარის მთიანეთის მოსახლეობა ისე მიაწყდა სოფელს, რომ ახლა მტკაველ მიწასაც ვეღარ ნახავთ უნაყოფოსა და დაუსახლებელს.

სოფელი რომ გამრავლდა, კოლმეურნეობის თავკაცს ლევან მჭედლიშვილს ახალი საფიქრალი გაუჩნდა. აღარ ყოფნიდათ სათიბი, საყანე, საბოსტნე. ცხოვრება კი თავისას ითხოვდა. და აი სოფლის აქტივმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის თაოსნობით გადაწყვეტილება მიიღო — თავაწყვეტილი ჭოროხისათვის წაერთმიათ სათარეშო კალაპოტი და იგი სათიბ-საყანედ გამოეყენებინათ.

ჭოროხთან ბრძოლა რამდენიმე წელს გაგრძელდა, მდინარეს ასი ჰექტარი მიწა გამოსტაცეს და ზედ ისეთი ყანა აბიბინეს, ავ თვალს არ ენახვება. ფართობის ნაწილი კოინდრად გამოიყენეს. ამით პირუტყვსაც ეშველა. ყოველ ჰექტარზე 140 ცენტნერი ნედლი ბალახი მოჰყავთ, წელიწადში შვიდჯერ თიბავენ, ამასაც არ დასჯერდნენ, შვრიაც დათესეს და შუალედური [illegible]

ლევანი კი იღიმებოდა და მთხოვნელი ჯერ სათიბში მიჰყავდა და შემდეგ აჩვენებდა ხოლმე პირუტყვს. მაგალითის ძალა გადამდებია, მით უფრო ხერხიანისა და სასარგებლოსი. მახოს კოლმეურნეობას მრავალმა სხვამაც მიბაძა, მასობრივად მოჰკიდეს ხელი კოინდრის თესვას.

ადრე ჭოროხისაგან კახაბრის ველების მოსახლეობას მოსვენება არ ჰქონდა. გაღმა მხრიდან მდინარეს ერგელებმა და კახაბრელებმა შეუტიეს, გამოღმიდან კი მახოელებმა, თხილნარელებმა და გონიოელებმა. იმდენი მიწა გამოსტაცეს მდინარეს, სოფლებს დაეტყო. გაბოროტებულმა და ძალააკრებილმა ჭოროხმა შარშან მახოელთა ერთადერთ ხიდს მალები ისე შეუნგრია, აღდგენა აღარ შეიძლებოდა. არც უხიდობა იქნებოდა და საგონებელში ჩავარდნილ ხალხს სახელმწიფო ამოუდგა მხარში. უნიკალური, 500 მეტრი სიგრძის ხიდი წლეულს გადაეცემა სოფლებს.

რატომ თანაუგრძნობენ ასე ძლიერ მახოელებს? რატომ და იმ გაბედულებისათვის, თავდადებული შრომისა და ინიციატივისათვის, რასაც სოფლის კოლმეურნეები იჩენენ. შარშან 1554 ტონა ციტრუსი და 1010 ტონა ჩაი მოკრიფეს, დაგეგმილი 1,9 მილიონი მანეთის ნაცვლად 2,6 მილიონი მანეთის მოსავალი მოიყვანეს. მარტო ჩაიდან 207 ათასი მანეთი მოგება მიიღეს, ციტრუსიდან კი — 320 ათასი მანეთი.

იმ დღეს ადრე დილით ავედი მახოში. მწვანედ ღალანებდა ჭო- [illegible]

გამაცნო თავმჯდომარემ. რამდენი წლისა იქნებაო, ჩამეძია. ჩემი ვარაუდით, 65 წლისა უნდა ყოფილიყო. ათი წელი შეგეშალაო. დიდი სამამულო ომის მონაწილეა, ახლახან ოქროს ქორწილი გადაიხადა. ჩემი თავი შემოევლოს, არ მღალატობს, კაცური კაცია, მხარზე მოხვია ხელი.

აღმართს შევუდექით და ჩაის მიკროფაბრიკის ეზოში შევედით, საკუთარ პირმშოსავით უყვარს ეს ფაბრიკა ლევანს. სანამ ააშენებდა, პიკის დროს ჩაის ჩაბარება პრობლემად ჰქონდა გადაქცეული, დატვირთულ მანქანებს ფაბრიკიდან ფაბრიკაში დაატარებდნენ. ზოგჯერ ნედლეული გადასაყრელი უხდებოდათ. ასე იყო ყოველ წელიწადს. ჰოდა, მოთმინება დაკარგულმა მახოელებმა გადაწყვიტეს საკუთარი ფაბრიკა აეშენებინათ. ააშენეს კიდევაც და მოისვენეს ახლა მოგებაც მათ რჩებათ. ჩაის ფაბრიკისა და საფუთავი ქარხნის აშენების შემდეგ კოლმეურნეობა კომბინატად გადაიქცა. ასე გაჩნდა სოფლად მუშათა კლასი!

— ისე არ აეწყო ცხოვრება, პრობლემები და თავსატეხი არ გვქონდეს, — ნაფიქრალს გაუხსნა გზა, — ციტრუსის დამზადების დროს მოსახლეობას კილოგრამზე 1 მანეთსა და 15 კაპიკს ვუხდით, წვენების დამამზადებელ ქარხნებს კი ჩვენგან კილოგრამი 40 კაპიკად მიაქვთ. ეს რანაირი ანგარიშია. რატომ უნდა ვიგეგმებოდეთ ზარალით. ამიტომ გადავწყვიტეთ ციტრუსიც ჩვენ გადავამუშავოთ. ავაშენებთ წვენების საამქროს, არც ნარჩენებს დავკარგავთ, იმასაც გა- [illegible]

ტაქებთ ციტრუსების დამყალიბებელ უცხოურ ხაზს. კეთილმოვაწყობთ გზებს. მოკლედ, ლაზათიანად ვიცხოვრებთ.

ჩაის კრეფის სეზონი კარგა ხანია დაიწყო. კოლმეურნეობა-კომბინატმა უკვე მოკრიფა და გადაამუშავა 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სხვათა შორის, ჩაის პლანტაციის 2 ჰექტარი საშუალო სკოლას გადაეცა. აქ მინიკოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. სოფლის აგროპერსონალი მოსწავლეებს ეხმარება შრომითი წრთობის მიღებაში. მთელი შემოსავალი სკოლას რჩება.

ლევან მჭედლიშვილმა სოფლის სხვა პრობლემებზეც ჩამოაგდო სიტყვა. გულისტკივილით აღნიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ძალიან დაბალ დონეზეა. არ იღებენ სათადარიგო ნაწილებს, არ ჰყოფნით სამშენებლო მასალები. ჩაის ფაბრიკაში, და საერთოდ სოფელში, ხშირად ითიშება ელექტროენერგია. სოფელს ადრე ჰქონდა მცირეძალოვანი ელექტროსადგური, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობდა. გულგრილობითა და უპატრონობით ელექტროსადგური გავერანდა. საერთო ძალით მას რომ აღვადგენდეთ, ჩვენც მოვიგებდით და სახელმწიფოც.

პლანტაციებში შევედით, გავიცანით მოწინავე მეჩაიეები თამარ შარაძე, ჟუჟუნა ხაჯიშვილი, გულნარა ქოქოლაძე, ულფეთ ხინკილაძე და სხვები. ქორფა, ნაზი ფოთლით ჰქონდათ კალათები ავსებული. კმაყოფილნი თუ ხართ რგოლური იჯარით-მეთქი, ვკითხე.

— რგოლური იჯარა ჩვენთან კარგა ხანია, რაც დაინერგა, — მითხრა ნაზი ქოქოლაძემ. ადრინდელთან შედარებით შრომის ანაზღაურება გაიზარდა. წინათ კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მოკრეფისათვის 22 კაპიკს გვიხდიდნენ, ახლა 40 კაპიკს გვიხდიან, თითქმის ორჯერ მეტს. ჩვენც დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი პირველი ხარისხის ჩაი მოვკრიფოთ.

[illegible]

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისაგან

უზბეკი პოეტის, კომპოზიტორისა და დრამატურგის ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მიმოქცევაში სამახსოვრო მონეტის გამოშვების შესახებ

1989 წლის 17 ოქტომბერს მიმოქცევაში გამოვა მანეთიანი სამახსოვრო მონეტა უზბეკი პოეტის, კომპოზიტორისა და დრამატურგის ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

მანეთიანი სამახსოვრო მონეტა მზადდება თეთრი ფერის სპილენძ-ნიკელის შენადნობისაგან და აქვს 31 მილიმეტრი დიამეტრი წრეწირის ფორმა.

მონეტას შუბლსა და უკანასტარზე ირგვლივ დასდევს ამობურცული კანტი.

მონეტის შუბზე გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და წარწერილია „სსრკ“, „1 მანეთი“ და „1989“.

მონეტის უკანასტარზე არის ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზის რელიეფური გამოსახულება, მისგან მარჯვნივ ორ სტრიქონად წარწერილია თარიღები „1889“, „1929“, მათ ქვემოთ გადაშლილი წიგნი და ყვავილი, ზემო ნაწილში კი გარშემო წარწერილია „ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზი“.

მონეტის ზედაპირზე არის ორი ჩაღრმავებული წარწერა „ერთი მანეთი“, რომლებიც ორი წერტილით არის გამოყოფილი.

სამახსოვრო მონეტას, რომელიც მიმოქცევაში გამოდის ჰამზა ჰაკიმ-ზადე ნიაზის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, უშვებენ მიმოქცევაში 2 მილიონი ცალი ტირაჟით, მათ შორის, 0,2 მილიონ ცალს — გაუმჯობესებული ხარისხისას.

ამჟამად მიმოქცევაში არსებულ მონეტებთან ერთად აღნიშნული მონეტა სავალდებულოა მიიღონ სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა პირებმა ნომინალის მიხედვით ყოველგვარი ფულადი გადასახდელებისას, აგრეთვე ბანკებმა, შემნახველმა სალაროებმა და კავშირგაბმულობის სამინისტროების საწარმოებმა მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე ჩასარიცხავად, ანაბრებად, აკრედიტივებად და გზავნილებად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ნიჭიც, იდეაც, ძალაც...

ჩვენი რუბრიკით: „დღევანდელი ნომრის სტუმარი" ჩვეულებისამებრ კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრას ვაწყობთ ხოლმე. ამჯერად დიალოგისათვის რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიგლა ბარამიძე. საკითხები, რომლებზეც მოგვიწია საუბარი, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მათი სიმწვავის მიუხედავად, შევეცადეთ ჩვენი სტუმარი მაქსიმალურად გულახდილი ყოფილიყო.

გიგლა ბარამიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, აღმოსავლური ენების სპეციალისტი. არის სამეცნიერო შრომების ავტორი, მუშაობს სადისერტაციო თემაზე. სათქმელი მას უთუოდ ბევრი აქვს.

— გიგლა! თქვენი მუშაობა დაემთხვა პერიოდს, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი სფერო კრიზისმა მოიცვა. ბევრმა მოულოდნელობამაც იჩინა თავი... შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება მოვლენებისადმი?

— ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენს ცნობიერებაში ერთბაშად დაისახა უამრავი სიახლე — სასიხარულოც და საზარელიც... ზომოდ მახარებს ერის გამოღვიძება, მაგრამ გული მეწურება 9 აპრილის, 15-16 ივლისის, სვანეთსა და აჭარაში დატრიალებული ტრაგედიების გახსენებაზე. იმ უმძიმეს დღეებში ნანახმა და განცდილმა სულ სხვანაირად ჩამაფიქრა, დამანახა ერის მტერი და მოყვარე, ახლებურად გამააზრებინა ჩემი საქმის, ცხოვრების საზრისი, ადამიანის დანიშნულება... დაინგრა ძველი სტერეოტიპები, მაგრამ შემოვიდა რწმენაც, სინათლეც, გამოიკვეთა მიზანი...

— ათწლეულების განმავლობაში თქვენი ორგანიზაცია ერთადერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია იყო. ახლა კონკურენტებიც გამოგიჩნდნენ. როგორია თქვენი ურთიერთობა მთელ რიგ ახლადშექმნილ ორგანიზაციებთან და „არაფორმალებთან"? როგორც ვიცით, ბევრ მათგანთან თქვენ ერთად გისწავლიათ....

— უკვე მიუღებელია ის დამოკიდებულება, როდესაც ჩვენ ერთმანეთს სათოფეზე არ ვეკარებოდით. ცხადია, წინააღმდეგობანი, საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა არც დღეს გამქრალა, მაგრამ ეს სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მთავარია, ორივე მხარემ ვიცოდეთ ჩვენი სანუკვარი მიზანი, თორემ მიზნისაკენ მისასვლელი გზები განსხვავებულიც რომ იყოს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად არც ჩვენი თანამშრომლობაა გამორიცხული. და, რაც მთავარია, აუცილებლობად მიმაჩნია პიროვნული ურთიერთპატივისცემა.

დღეს საქართველოს პარლამენტური განვითარების გზა ესაჭიროება. მთელი რიგი სირთულეების მიუხედავად, ამ ეტაპზე არასწორად მიმაჩნია ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადება. ეროვნული დაუმორჩილებლობა ის „ფუფუნებაა", რომელიც თუ ინდოელებისა და ჩინელებისათვის იყო მისაღები, ჩვენთვის ამჟამად მომაკვდინებელია. რადიკალიზმს თავისი [illegible] აქვს, მისი უსისტემო გამოყენება წამგებიანია. აქედან გამომდინარე, არასწორად მიმაჩნია მოწოდება — ბოიკოტი გამოვუცხადოთ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებს. პირიქით, უნდა ვიზრუნოთ, რომ ხელისუფლების სადავეები ღირსეულთა ხელში აღმოჩნდეს.

— დღეს ხშირად საუბრობენ კონსოლიდაციაზე. როგორ გესმით ეს ტერმინი?

— უპირველეს ყოვლისა, ერის მთელი პოტენციალის გაერთიანება უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც უკლებლივ ყველა თავის საქმეში სრულყოფას მიაღწევს. მიმაჩნია, რომ მომავალი მას ეკუთვნის, ვისაც მეტი პროფესიონალი მუშაკი ჰყავს. ერის კონსოლიდაციამ ქვეყანას ნანატრი მომავალი უნდა გამოუჭედოს. ვფიქრობ, არავის აქვს უფლება, ხელში ჩაიგდოს ეროვნული საკითხების გადაწყვეტის მონოპოლია ან დაახარისხოს — საზოგადოების რომელ კატეგორიას მართებს პატრიოტიზმი და რომელს — არა.

— რას გულისხმობთ რესპუბლიკის რეალურ სუვერენიტეტში?

— არც მეტს, არც ნაკლებს— რასაც თვით ტერმინი სუვერენიტეტი მოიცავს. ვფიქრობ, ზედმეტია ეპითეტები „ჭეშმარიტი", „რეალური", „სრული" და სხვა, რადგან ნაწილობრივი ან ნახევრად სუვერენიტეტი უკვე აღარ არის სუვერენიტეტი. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჟ. ბოდენის მიერ შემოღებულმა ამ ტერმინმა დღევანდლამდე არ შეიცვალა მნიშვნელობა, თუმცა ბევრი თვლის, რომ დამოუკიდებლობა სუვერენიტეტზე უფრო უნივერსალური ცნებაა. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მეც ასე ვფიქრობ, რადგან ისტორიაში სუვერენიტეტის რეალური არსი არაერთხელ იქნა ფალსიფიცირებული.

— ახალგაზრდულ პრესაში პერიოდულად იბეჭდება მასალები საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილი კომისიების შესახებ, რომლებიც რესპუბლიკისა და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციების საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობენ. როგორია საქართველოს კომკავშირის ხვალინდელი დღე? რამდენადაც ვიცით, რადიკალური ცვლილებებიც არის მოსალოდნელი.

— საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილი კომისიების მიზანია: რესპუბლიკის კომკავშირის ახალი პროგრამისა და წესდების შემუშავება, საქართველოს კონსტიტუციაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანა, საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსის შემოღება, ქართველ წვევამდელთათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის საქართველოშივე მოხდა, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა.

სერიოზულად ვფიქრობთ ბავშვთა ეროვნული ორგანიზაციის შექმნაზე, ჩვენი აზრით, სასურველია ჩამოვაცილოთ ამ ორგანიზაციას პოლიტიკური სტატუსი. ალბათ ეს იქნება პიონერიაში შექმნილი კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზა.

დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო შეხვედრა ახალგაზრდა დეპუტატებთან — „დას"-ის, სახალხო ფრონტისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. უთუოდ მისასალმებელია, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლის ახალ ვარიანტს, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

საქართველოს კომკავშირის თვისებრივი განახლება წარმოუდგენელია რესპუბლიკის კომკავშირის ახალი პროგრამისა და წესდების გარეშე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ალკკ წესდების პროექტში სინდისის თავისუფლების შესახებ დებულების შეტანა. სავარაუდო ვარიანტი ასე წარმოგვიდგენია: „საქართველოს ალკკ წევრს გარანტირებული აქვს სინდისის თავისუფლება, უფლება — სწამდეს ნებისმიერი რელიგია, ან არ სწამდეს არცერთი რელიგია, ასრულებდეს რელიგიურ კულტებს ან ეწეოდეს ათეისტურ პროპაგანდას".

1948 წელს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1976 წლის 23 მარტს კი ძალაში შევიდა ადამიანის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა საერთაშორისო პაქტი. საბჭოთა კავშირი ორივე საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების მონაწილეა, ასე რომ, წესდებაში შესატანი სავარაუდო დებულება შეესაბამება როგორც სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე კომკავშირიდან საკუთარი სურვილით გასვლის შემთხვევაში, დებულება კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ შეიცვალოს კომკავშირიდან ნებაყოფლობითი გასვლის ფორმულირებით.

რაც შეეხება საქართველოს კომკავშირის რიგგარეშე ყრილობას, იგი უახლოეს ხანებში ჩატარდება. ყრილობაზე საბოლოოდ უნდა გაირკვეს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის სტატუსი, მისი დამოკიდებულება კომპარტიასთან, საკავშირო კომკავშირთან, სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. კომკავშირი უნდა იქცეს მძლავრ ეროვნულ ორგანიზაციად.

— ეს ალბათ, უპირველეს ყოვლისა, კომკავშირში ჯანსაღი კადრების დამკვიდრებით მიიღწევა...

— იყო პერიოდი, როდესაც ბევრი ცდილობდა პრესტიჟულ კომკავშირულ სავარძელში მოკალათებას. ეს იყო არა საუკეთესოთა შეჯიბრი, არამედ ანკეტური მონაცემებისა და გავლენიან მფარველთა კონკურენცია. აღნიშნულმა მანკიერებებმა საკმაოდ ღრმად გაიდგეს ფეხი. დღეს ეს პროცესი, მერწმუნეთ, საგრძნობლად შენელდა. დემოკრატიულმა არჩევნებმა კიდევ უფრო გააჯანსაღა ატმოსფერო, თუმცა არც დემოკრატიული არჩევნებია ყველა შემთხვევაში წარმატების გარანტია.

დღეს აუცილებლად მიგვაჩნია, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ განთავისუფლებული კომკავშირული მუშაკის წიგნიერებას, მის კვალიფიკაციას, რადგან გარკვეული პერიოდის შემდეგ მას სპეციალობით მუშაობის დაწყება ტრაგედიად არ ექცეს. ხშირია შემთხვევები, რომ ამ დროისათვის იგი, როგორც სპეციალისტი, უკვე საგრძნობლად ჩამორჩენილია, ამიტომაც ყველა ხერხით ცდილობს თანამდებობის შენარჩუნებას.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, თუ უხერხული არ არის, იქნებ გვითხრათ, როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?

— ვყოფილიყავი საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, თვითმიზნად არასოდეს გამიხდია. მომავალზე საუბარი, მოგეხსენებათ, ერთობ სათუო რამ არის. როგორც დიდი შოთა იტყოდა: „საწუთრო კაცთა ყოველთა ვითა ტაროსი უხდების, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების..." საწუთროს „რისხვას" ვერ დაველოდები (ვხუმრობ, რა თქმა უნდა), ისე კი უნივერსიტეტელი ვარ — ჯერ, როგორც სტუდენტი ვსწავლობდი, შემდეგ, როგორც ასპირანტი, ფაკულტეტზე პერიოდულად ლექციებისა თუ სემინარების ჩატარებაც მიხდებოდა. ასე რომ, არ ვიცი როდის, მაგრამ არჩევანი ალბათ სხვანაირი ვერ იქნება...

— თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოც ცხადია, გულგრილი ვერ იქნებით დანაშაულობის მიმართ, უკანასკნელ ხანს რომ მოგვეძალა. იქნებ ამის შესახებ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები.

— როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ცნობებს ვეცნობი, სადაც დღე-ღამის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი უბედური შემთხვევები თუ დანაშაულის სხვადასხვა ფორმებია აღნუსხული, როდესაც ოპერატიული რეიდის უსიამოვნო ნადავლს ვავლებ თვალს, რომელშიც მრავლადაა რკინის ხელკეტები, მუჩაგოები, ხანჯლები, თვითნაკეთი ცულები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, — თავი უნებლიეთ „შუა საუკუნეებში" მგონია. „ქართველები შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კვლითა" — წერს ვახტანგ გორგასლის მემატიანე. მართლაც, ოდითგან სულ ჩვენს სიმცირეს მივტირით და ამავე დროს, რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ჩვენივე ხელით ვუსწორდებით ერთმანეთს.

XVII-XVIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ კი ანაკლიიდან სტამბოლის ბაზარზე ყოველწლიურად ორი ათასი და მეტი ქართველი გაჰყავდათ... მაგრამ დღეს, XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შედეგად არანაკლები ახალგაზრდა გვეკარგება. ვერავითარი კანონი, ვერავითარი აღმზრდელობით-ზედამხედველობითი სისტემა ვერ გვიშველის, თუ თითოეული ჩვენთაგანი არ ამაღლდა ჰუმანიზმის უზენაეს პრინციპებამდე, ზნეობრივ სისრულემდე, „არა კაც ჰკლას" ჭეშმარიტებამდე.

უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ თავის მუშაობაში მეცნიერული ჩარევის მეშვეობით შეძლოს ამა თუ იმ მომწიფებული ახალგაზრდული პროცესის, მოვლენის პროგნოზირება. ნუ გვგონია, რომ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში მიმდინარე ახალგაზრდული პროცესები ჩვენს რესპუბლიკას აუვლის გვერდს. ნაყრუება უკვე მწარე გაკვეთილად გვექცა. თითქმის ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოვახდინეთ მთელ რიგ პროცესებზე.

ჯერ იყო და ჰიპების მოძრაობაზე დავხუჭეთ თვალი და, თუ იმ წლებში იგი ჩვენთან არ დამკვიდრდა, მხოლოდ და მხოლოდ ტოტალიტარული სახელმწიფოს რკინის ჭარების წყალობით. საბოლოოდ კი ახალგაზრდობა მაინც არნახულმა დეპრესიამ მოიცვა, რომლის მიზეზებსაც ახლაღა ვხვდებით.

გვეგონა, ჩვენს ახალგაზრდობას სოციალური პრობლემები არ შეეხებოდა და, აქედან გამომდინარე, ნარკომანია ვერ მოიკიდებდა ფეხს, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ სხვანაირი სურათი მივიღეთ. თუ წინათ ნარკოტიკების გამოყენებაში ძირითადად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები შეინიშნებოდნენ, ახლა ნარკოტიკებს ჩვენი ინტელექტუალური ახალგაზრდობის გარკვეული პროცენტიც კი ეძალება. როგორ წარმოვიდგენდით საქართველოში პროსტიტუციის პრობლემას, მაგრამ ისიც ხომ შემოგვეპარა. ვერც „პერესტროიკის" თანამდევ უამრავ მწვავე პრობლემას ავუღეთ ალღო.

ახლა, ვფიქრობ, საშიშროებას გვიქადის მთელს საბჭოთა კავშირში არნახული მასშტაბით გაშლილი ნარკობიზნესი, რეკეტი და განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა დანაშაული. რით დავუპირისპირდეთ? ამჟამად ჩვენ უკვე ვიცით მოახლოებული პროცესის შინაარსი, განვითარების მიმართულებანი, მრავალსახეობა, ნიშნები და თუ გონივრულად გამოვიყენებთ მეცნიერულ რეკომენდაციებს, პროცესის მართვა გაცილებით იოლი გახდება.

— ხომ არ იყო მოულოდნელი, როცა სულ ახლახანს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში პროექტის სახით საგანი „პარტიის ისტორია" — „მეოცე საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის" კურსით შეიცვალა?

— მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. ეს საკითხი დღითიდღე მწიფდებოდა და სავსებით ლოგიკურ შედეგამდეც მივედით. ნამდვილი სენსაცია იქნებოდა ეს რომ რამდენიმე წლის წინათ მომხდარიყო. არ შევცდები თუ ვიტყვი: საგანი „მეოცე საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორია" პრობლემატიკით წინამორბედზე ბევრად უფრო მასშტაბური იქნება. და, საერთოდ, საზოგადოების განვითარების კანონები, საკითხები ადამიანის დანიშნულებისა და რაობის შესახებ მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფიის დონეზე არ ამოიცნობა. ამ შემთხვევაში ბერძენ კლასიკოსთა, ეკლესიის მამათა შრომების გარდა, არც შედარებით ახლო წარსულის ფილოსოფოსთა (ნიცშე, შპენგლერი, ბერგსონი, კირკეგორი, ჰაიდეგერი, ბერდიაევი და სხვა) შრომები, თეორიული მოძღვრებანი და ფილოსოფიური მიმართულებები (სიცოცხლის ფილოსოფია, ექსისტენციალიზმი, პერსონალისტური ფილოსოფია) უნდა იქნეს უგულვებელყოფილი, ჩვენი სტუდენტობის ჟამს ზემოაღნიშნული ფილოსოფოსნი უკიდურესად რეაქციულ ბურჟუაზიულ მოძღვრებათა დამამკვიდრებლად იყვნენ შერაცხულნი და, აქედან გამომდინარე, მათი შესწავლაც შეზღუდული ან ცალმხრივი იყო. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებით ახალგაზრდობა მხოლოდ მოიგებს.

— რას ითვალისწინებს დემოგრაფიული აქცია „აღორძინება", რომლის შესახებაც გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" იტყობინებოდა?

— ჩემი აზრით, ეს არის უაღრესად ჰუმანური და საჭირო მოძრაობა. მისი მიზანია ბოლნისისა და დმანისის რაიონებში საცხოვრებელი სახლების შესყიდვა და შემდგომ ამ სახლებში ახალგაზრდა ქართული ოჯახების შესახლება აჭარიდან, სვანეთიდან თუ ზემო იმერეთიდან. აქცია ითვალისწინებს აგრეთვე რესპუბლიკის გარეთ კომკავშირული საგზურებით სამუშაოდ წასული ახალგაზრდების დაბრუნებას. გარდა ამისა, განზრახულია მსხვილ სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის „მეტალურგმშენის" № 1 ტრესტი, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკა) რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობით ჭარბად დასახლებული რაიონებიდან ახალგაზრდების ჩამოყვანა, რისთვისაც პროექტირდება ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსები.

„ახალგაზრდული ლატარიის" ტირაჟიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება რესპუბლიკაში დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას, ახალგაზრდა ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობას. ეს თანხა დაახლოებით 2,5 მილიონ მანეთს შეადგენს.

მიმდინარეობს ახალგაზრდა მასწავლებელთა ხუთ-ბინიანი სახლის მშენებლობა ყაზბეგის რაიონში, ასეთივე სახლები აშენდება ხულოს რაიონში, აგრეთვე სოფელ ტანძიასა და სამღერეთში.

დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები თბილისის 26 კომისრებისა და ლენინის რაიონებში ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის, პარალელურად მიმდინარეობს 312-ბინიანი ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსის დაპროექტება ვაშლიჯვრის ტერიტორიაზე. ამ მხრივ ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ დავით აღმაშენებლის საზოგადოებასთან.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საკაბელო ტელევიზიის ცენტრის შექმნა, მენეჯერთა სკოლის დაფუძნება, ახალგაზრდულ-კომერციულ ფირმა „კომერსანტის" ჩამოყალიბება.

— გიგლა, რა მაგის პასუხია და, ხომ არ მოგვიმრავლდნენ ისეთი პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც სამსახურებრივად დემოგრაფიული საკითხის მოგვარებაზე ზრუნავენ, პირად ცხოვრებაში კი სათანადო მაგალითს არ იძლევიან?

— მიგიხვდით. მესმის. ეს ჩემს ნაკლთა შორის უმთავრესია! ვცდილობ მის გამოსწორებას. ისე, თუ მკითხავთ, უცოლშვილო კაცი დაწინაურებაშიც უნდა შეზღუდო და ხელფასიც გაუნახევრო...

— თქვენი აზრით რა არის აუცილებელი პოლიტიკური მოღვაწისათვის?

— ნიჭის გარდა იდეა, რადგან იგი იძლევა რწმენას, რწმენა — საკუთარ თავში დაჯერებას, დაჯერება—ძალას, ძალა კი — შედეგს... ძალაში, ცხადია, ზნეობრივი პრინციპების უარყოფას არ ვგულისხმობ და არც მაკიაველის განსაზღვრებას — „პოლიტიკურ მოღვაწეს ყველაფერი ეპატიება შედეგისათვის".

სამწუხაროდ, იდეა კომკავშირულ მუშაკებს წლების მანძილზე გამობრძმედილი სწორხაზობრიობისა და ფორმალიზმის გამო გამქრალი ჰქონდათ (და განა მარტო ჩვენ?). ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ, მაგრამ თუ დღეს შესაძლებელია მუშაობა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ორგანიზაციის ფიქრი და საქმე საქართველოს დასტრიალებს.

— და ბოლოს, თქვენი სურვილები.

— როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპარი იტყოდა: „სამშობლოს სიყვარულისათვის შრომა ჩამითვალეთ მე განსვენებად..." თითოეულ თანამემამულეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სწორედ ასეთ „განსვენებას" ვუსურვებ!

ესაუბრა
აკაკი სიხარულიძე.

მთავარი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა ყველა გამოსვლას, ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე რომ გაისმა. გაიმართა იგი თბილისში და მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითმა ცენტრმა.

დღეს, როცა ქვეყანა დაადგა ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს, საზოგადოებრივი პროცესების დემოკრატიზაციის ფორმირების რთულ გზას, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ იურისტებმა. სამეცნიერო კონფერენციამ ცხადყო, რომ ქართული იურიდიული მეცნიერება ცდილობს გადაჭრას ყველაზე აქტუალური პრობლემები, კერძოდ, ისეთები, როგორიცაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის სრულყოფა საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოების სამართლებრივი უზრუნველყოფა, სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკას შორის კომპეტენციის მკვეთრი გამიჯვნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში. ორატორები შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა ფედერალიზმის სრულყოფის, სახელმწიფო ენის სამართლებრივი სტატუსის საკითხებს. მათ განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმა „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში", ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემები, სხვა საკითხები.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება კრებულში, რომელსაც გამოუშვებს სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრი ქართულ და რუსულ ენებზე.

(საქინფორმი).

თანამშრომლობა: ცვლილებათა სიო

გზის დასაწყისში

პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის საპატიო დიპლომით დაბრუნდა იტალიიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტი მზია სიმონიშვილი (პროფესორ ვანდა შიუკაშვილის კლასი). ორი კვირის განმავლობაში ქალაქი ბოლცანო ცხოვრობდა მუსიკით: მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 158 ახალგაზრდა პიანისტი ერთმანეთს ეპაექრებოდა ბუზონის სახელობის კონკურსში საპატიო ადგილისათვის. საბჭოთა კავშირიდან ამ ფორუმში ექვსი მუსიკოსი მონაწილეობდა.

სამ მათგანს მიენიჭა საპატიო ჯილდო. მეორე პრემია მოიპოვა მოსკოვის გნესინების სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ვალერი გრახოვსკიმ, მეექვსე პრემიით დაჯილდოვდა მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი კონსტანტინე შჩერბაკოვი. მეშვიდე ადგილი დაიკავა თბილისელმა სტუდენტმა მზია სიმონიშვილმა.

— მღელვარებით ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ გამოვიდოდი იტალიელი პიანისტისა და კომპოზიტორის ბუზონის სამშობლოს სცენაზე, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს. — ამ სახელგანთქმულ მუსიკალურ ქვეყანაში, ავტორიტეტული ჟიურის წინაშე, რომელშიც შედიან მსოფლიოს უდიდესი მუსიკოსები, დაკვრა არნახულად პასუხსაგები ამოცანაა. ჩემთვის ეს შემოქმედებითი შეჯიბრება შესანიშნავი სკოლა გახდა.

და კიდევ ერთი თავისებურება: პიანისტი კონკურსში მონაწილეობდა ცენტრის ბარიერების გვერდის ავლით — მთელი სავალუტო ხარჯები იკისრა საქართველოს კულტურის სამინისტრომ. ეს შესაძლებელი გახდა გარდაქმნის წყალობით, ხელი შეუწყო ცხოვრების მრავალ სფეროში, მათ შორის კულტურის სფეროშიც, საერთაშორისო კონტაქტების პირდაპირმა დამყარებამ.

თბილისელმა სტუდენტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჟიურიზე და სპეციალისტებზე. დათვალიერების ჟიურის თავმჯდომარემ, ქალაქ ბოლცანოს კონსერვატორიის რექტორმა ჰუბერტ შტუპნერმა შესთავაზა მას მონაწილეობა მომდევნო კონკურსში, რომელიც გაისად აგვისტოში გაიმართება. იგი მიიწვიეს რომსა და მილანშიც, სადაც დაგეგმილია მისი სოლო კონცერტები.

გულთბილად მიიღო მზია იტალიის საზოგადოებამ. იგი ამაყად ამბობს, რომ მესამე ტურში სამჯერ მოუწია ავანსცენაზე გამოსვლა, რომ მადლობა გადაეხადა მსმენელებისათვის ტაშის გამო. და რამაც ყველაზე მეტად გაახარა იგი, ეს არის ჟიურის წევრთა გამონათქვამები, რომლებიც აღნიშნავდნენ ქართული მუსიკალური პედაგოგიური სკოლის თავისებურებასა და მაღალ დონეს.

(საქინფორმი).

უცხოეთში

საკდესი იუწყება
17 ოქტომბერი

● გფრ

თანამშრომლობა ახალ დონეზე

მალენტე. „აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები და პრობლემები" — ასეთი დევიზით დაიწყო აქ მუშაობა საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების, აზიის რეგიონისა და ევროპის წამყვანი ეკონომიკური ექსპერტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მრეწველობისა და ბანკების წარმომადგენლები, მათ შორის წარმომადგენლობითი საბჭოთა დელეგაცია.

სიმპოზიუმის მონაწილენი განიხილავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს, სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში გარდაქმნის მიმდინარეობას, კოოპერაციის სავალუტო-საფინანსო პრობლემებს, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და ტექნოლოგიების გაცვლის პერსპექტივებს.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ჰ. ჰაუსმანმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, თქვა მინისტრმა, მხარს უჭერს სოციალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უფრო ფართო ჩაბმას. დაახასიათა რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ახლანდელი მდგომარეობა. ჰ. ჰაუსმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება არსებულ დიდ შესაძლებლობებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლები იმედოვნებენ, აღნიშნა მან, რომ პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ეკონომიკური კოოპერაციის გააქტიურებას, აიყვანს მას თვისებრივად ახალ დონეზე. წარმატებით მიმდინარეობს თანამშრომლობის ახალი ფორმის ათვისება — ერთობლივი საწარმოების შექმნა დასავლეთის კაპიტალის მოზიდვით, ხელმძღვანელი კადრების — მენეჯერების მომზადება, მტკიცდება კავშირურთიერთობა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შორის. ამავე დროს გარდაქმნა აღმოსავლეთში დაკავშირებულია მთელ რიგ რთულ პრობლემებთან, რომლებიც სოციალისტურმა ქვეყნებმა უნდა დაძლიონ დამოუკიდებლად, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით.

ვინ იქნება მერვე პრეზიდენტი?

როგორც ცნობილია, 20 ოქტომბერს თურქეთი აირჩევს მერვე პრეზიდენტს 1923 წლის 29 ოქტომბერს ამ ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადების დღიდან. პოლიტიკური მეთვალყურენი სვამენ კითხვას: ვინ შეცვლის სახელმწიფოს ახლანდელ მეთაურს გენერალ ქენან ევრენს, რომელიც მეთაურობდა სამხედრო გადატრიალებას 1980 წლის 12 სექტემბერს? და ამავე დროს თითქმის ერთსულოვნად ასახელებენ თურგუთ ოზალს — ახლანდელ პრემიერ მინისტრსა და მმართველი, მსხვილი კაპიტალის ინტერესების გამომხატველი სამამულო პარტიის ლიდერს.

ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ „ამ წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც მთავრობას სათავეში ჩაუდგა 1983 წელს პოლიტიკური ასპარეზიდან სამხედროთა წასვლის შემდეგ, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ თუ თავის კანდიდატურას დაასახელებს, მას აირჩევენ და რესპუბლიკის პირველი სამოქალაქო პრეზიდენტი იქნება 1960 წლიდან". „გამორიცხული არ არის, — განაცხადა თ. ოზალმა, — რომ ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ უკანასკნელ დღეს და უკანასკნელ საათს". გამოცდილმა პოლიტიკოსმა, რომელსაც შარშან ზაფხულში თავს დაესხნენ და სიკვდილს მისთვის ნასროლი ტყვიის მიკროფონის საყრდენში მოხვედრის შედეგად გადაურჩა, როგორც ყოველთვის, ყველაფერი წინასწარ გაისიგრძეგანა.

მისი პრემიერობის წლებში პროგრამის წყალობით, რომელიც მაქსიმალურად უწყობდა ხელს კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობების განვითარებას, 55-მილიონიანი თურქეთი მსოფლიო ბაზარზე წამყვანი ქვეყნების რიგში დაწინაურდა. შემცირება იწყო საგარეო ვალმა, რომელიც 50 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ექსპორტის ყოველწლიურმა მოცულობამ 10 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ქვეყანა აწარმოებს თანამედროვე კომპიუტერებს, მაცივრებს, მაღალი ხარისხის საფეიქრო ნაწარმს „საერთო ბაზრის" წევრი სახელმწიფოებისათვის, საიჯარო სამშენებლო სამუშაოებს მთელ რიგ მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც.

62 წლის თ. ოზალი თავის სტრატეგიულ მიზნად ისახავს თურქეთის რაც შეიძლება მალე შესვლას ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში და ეს მიზანი სავსებით რეალურია, თუ გავითვალისწინებთ თურქეთის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ყოველივე ამის მიუხედავად, ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროგრამის განხორციელების პროცესში არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებმაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ საარჩევნო კამპანიაზე. მთავარი, რაშიც ოპოზიცია ბრალს დებს თ. ოზალს, გახლავთ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის რამდენადმე გაუარესება „მკაცრი ეკონომიის" არაპოპულარულ ღონისძიებათა განხორციელების გამო. თითქმის ათი წლის მანძილზე მთავრობა, რომელიც ასრულებდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებსა და პირობებს, „ყინავდა" ხელფასს, აქტიურად კვეცავდა სახელმწიფო სექტორს, სისტემატურად ხდებოდა ლირის დევალვაცია. განვლილ ათწლეულში ფასების გაუგონარი ზრდა აცარიელებდა მცირე და საშუალო შემლების ადამიანთა ჯიბეს. დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის უმუშევრობა.

ამიტომ ძნელია არჩევნების შედეგების ერთმნიშვნელოვნად პროგნოზირება. „თურქეთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს" — ამბობენ ადგილობრივი ჟურნალისტები. უკვე გაისმის ხმები მმართველ პარტიაში გათიშულობაზე, ავტორიტეტული გაზეთის „ჰურიეთის" მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ პრემიერ-მინისტრი პოპულარობით ჩამორჩება სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს და პრეტენდენტთა სიაში მას მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია, ხოლო ამავე სიაში ლიდერობს ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტიის ლიდერი ერდალ ინენიუ, ყოფილი პრემიერისა და სახელმწიფოს მეთაურის ისმეთ ინენიუს შვილი. ასე რომ, მმართველ პარტიას ხმებისათვის სერიოზული ბრძოლა მოელის, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უკანასკნელ არჩევნებში თ. ოზალის პარტიამ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 22 პროცენტი მოაგროვა.

თურქეთი არჩევნების წინ

ამავე დროს თურქეთში მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ უპირატესობებს უქმნის ხელისუფლების სათავეში მყოფ პარტიას. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი, სამამულო პარტიას კი იქ დეპუტატთა ადგილების საგრძნობი უმრავლესობა აქვს — 450-დან 289. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნები შეიძლება გაიმართოს დიდ ეროვნულ კრებაში კენჭისყრის ოთხ ტურად. პირველ და მეორე ტურებში გამარჯვებისათვის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედისა. თუ ამას ვერავინ მიაღწევს, გაიმართება მესამე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მეოთხე ტურიც, რომელთა დროს საკმარისია უბრალოდ ხმების უმრავლესობა. მაგრამ თუ არც ეს მოხდა, მაშინ დაითხოვენ პარლამენტს და დაინიშნება ვადამდელი საყოველთაო არჩევნები. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამას ისახავს მიზნად ოპოზიცია.

გურამ გურიელი.
(საკდესის მასალების მიხედვით).

ტელეტაიპის ლენტიდან

● **კაირო. ლამაზ სანახაობად გადაიქცა კაიროში გამართული ცერემონია, რომელიც მიეძღვნა ისლამური ხუროთმოძღვრების დარგში მიღწევებისათვის აღა ხანის საერთაშორისო პრემიის გადაცემას.**

პრემია, რომლის გადაცემა სამ წელიწადში ერთხელ ხდება, ამჯერად მიიღეს ლიბანში, მაროკოში, ტუნისში, თურქეთში, საუდის არაბეთში, ინდონეზიასა და ბანგლადეშში თერთმეტი მკაფიო და თავისთავადი არქიტექტურული პროექტის ავტორებმა და შემქმნელებმა. განსაკუთრებული პრიზი გადაეცა კაიროს ყოფილ გუბერნატორს — იუსეფ საბრი აბუ ტალებს ქალაქთმშენებლობის პრობლემების გადაჭრისა და ისტორიის და არქიტექტურის ძეგლების დაცვისათვის ეგვიპტის დედაქალაქის საქალაქო ხელისუფალთა ძალისხმევის აღიარების ნიშნად.

● **ვაშინგტონი. ალასკის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში — სიტკაში გაიხსნა ნიჭიერი მეწარმისა და დიპლომატის, 1790-1818 წლების პერიოდში ამერიკაში რუსების დასახლებათა პირველი მთავარი გამგებლის ალექსანდრე ბარანოვის ძეგლი.** მისი სახელი დაერქვა ერთ-ერთ ქუჩასა და სასტუმროს ამ ქალაქში, რომელიც მანვე დააარსა მე-18 საუკუნის დამლევს.

ფოტოინფორმაცია

● **ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ დანიშნა მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟთა წევრები. ეს ხომალდები 5 გაფრენას განახორციელებენ 1990-1991 წლებში.**

კოსმოსურ ხომალდ „დისკავერის" 1991 წლის ივნისისათვის დაგეგმილი გაფრენის მომავალ მონაწილეთა შორის არის პირველი შავკანიანი ქალი — ასტრონავტი, ექიმი მეი ჯემისონი (სურათზე).

აპ-საკდესის ფოტო.

● **ასეთი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება საავტომობილო გზებზე. არცთუ იშვიათად ავარიები ტრაგიკულად მთავრდება სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლთათვის და მგზავრებისათვის. საათში 55 კილომეტრი სიჩქარით მოტოციკლეტისა და ავტომობილის ეს შეტაკება კი... დაგეგმილი იყო. აბა, სხვა რით შეიძლება აიხსნას შვეიცარიის კეისტონის სააგენტოს ფოტორეპორტიორის ყოფნა ზუსტად ავარიის მომენტში. იქნება ამ სპეციალურმა გამოცდამ გასცეს პასუხი სპეციალისტებს საგზაო უშიშროების მრავალ კითხვაზე.**

კეისტონ-საკდესის ფოტო.



საზღვარგარეთული სენსაცია

▼

კიდევ ერთი „მფრინავი ჭორი"

ჰარარე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის ძალების წარმომადგენელმა „აბსოლუტური უაზრობა" უწოდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტების საკითხთა ევროპის სააგენტოს ცნობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გამოჩენის თაობაზე. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის მიერ გადაბეჭდილ ცნობაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ 7 მაისს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე აღმოაჩინეს და ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ორი „მფრინავი თეფში". ერთ-ერთი მათგანი მხოლოდ მსუბუქად დაზიანდა და შეძლო დაჯდომა. ხომალდის გაღებისას მასში, როგორც ამბობენ, აღმოჩნდა ორი ცოცხალი უცხო პლანეტელი, რომლებიც სასწრაფოდ გაგზავნეს შეერთებულ შტატებში დეტალური გამოკვლევისათვის.

როცა სენსაციის მოყვარულმა ჟურნალისტებმა განმარტებისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიმართეს, მათ ყოველგვარი იმედი გაუცრუვდათ. „არავითარი სურვილი არა მაქვს კომენტარი გავუკეთო ამ „მფრინავ ჭორებს", რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება პრესის ფურცლებზე",—განაცხადა საზოგადოებასთან კავშირის განყოფილების ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ჯონ როლტმა.

კანბერა. ამოუცნობი მფრინავი ობიექტი გამოჩნდა ავსტრალიის სიდიდით მეორე ქალაქის — მელბურნის თავზე. იგი 80-ზე მეტმა კაცმა დაინახა, რომლებმაც დარეკეს პოლიციის რამდენიმე უბანში, იუწყება გაზეთი „ეიჯი".

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ობიექტი, რომელსაც ჰქონდა სიგარის ფორმა, და რომელიც ორივე ბოლოდან აფრქვევდა ცეცხლს, დაახლოებით დილის სამ საათზე გაჩერდა თითქმის 200 მეტრ სიმაღლეზე მელბურნის სენტ-კილდის რაიონის ნაპირიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარე ყურის თავზე. ყველაზე დაწვრილებით ამოუცნობი მფრინავი ობიექტი აღწერა 60 წლის გადამდგარმა მაიორმა, რომელმაც პოლიციელებს სთხოვა არ დაესახელებინათ მისი გვარი. როგორც პოლიცია ფიქრობს, მისი ნაამბობი იმსახურებს ნდობას. პოლიციელებმა აგრეთვე აღმოაჩინეს გადამწვარი ბალახის უბანი სანაპირო ზოლის მახლობლად იმ ადგილას, სადაც ნახეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი.

უანგარო მეგობარი

ქართული მეცნიერული და მკითხველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს თვალსაჩინო უნგრელი მწერლისა და ქართველოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლაიოშ ტარდის სახელს. აგერ, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია უნგრელი მეცნიერის წერილები, ნარკვევები, გამოკვლევები არ სცილდება ქართულ, რუსულ, უნგრულ და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო თუ სალიტერატურო პრესის ფურცლებს. ამას გარდა, პროფესორი ლაიოშ ტარდი რამდენიმე წიგნისა და მონოგრაფიის ავტორია, ხოლო საგანგებო ინტერესს იწვევს ისტორიულ თემებზე შექმნილი მისი მხატვრული თხზულებანი.

ლაიოშ ტარდი დაიბადა 1914 წლის 28 ივლისს, ქ. ბუდაპეშტში, უნგრელი ინტელიგენტის ჟიგმუნდ ტარდის ოჯახში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო — დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის იურიდიული (1936 წელი) და ფილოლოგიური (1963 წ.) ფაკულტეტები; 1964 წელს ლ. ტარდი გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1973 წლის 8 მაისს, თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა მე-16 საუკუნეში", რის საფუძველზეც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საგულისხმოა, რომ მთელ უნგრეთში მაშინ სულ ოცდაათამდე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იყო, მათ შორის არის ლაიოშ ტარდი.

წლების მანძილზე ლაიოშ ტარდი იყო ბუდაპეშტის სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1968-1975 წლებში — უნგრეთის ცენტრალური არქეოლოგიური ბიბლიოთეკის დირექტორი, 1977 წლიდან კი ქ. სეგედის ატილა იოჟეფის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია და კითხულობდა ლექციებს აღმოსავლეთის ხალხების, მათ შორის, ქართული ცივილიზაციის ისტორიაში. 1980-1981 სასწავლო წელს კითხულობდა სპეციალურ კურსს: „კავკასიის სახელმწიფოთა, კერძოდ, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორია".

უნგრეთის პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ლაიოშ ტარდის სამეცნიერო და სამწერლო-საზოგადო მოღვაწეობა: იგი დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მაღალი ჯილდოთი — შრომის ვერცხლის ორდენით (1974 წ.). საპატიო „ნიშნით „სოციალისტური კულტურისათვის" (1975 წ.); უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში გაწეული თვალსაჩინო ღვაწლისათვის კი უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1968 წ.). საგულისხმოა, რომ ლაიოშ ტარდი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პირველად უნგრეთში შექმნილი რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტია.

ლაიოშ ტარდის თვალსაჩინო მეცნიერულ აღიარებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი არჩეულია უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობითი კომისიის, უნგრეთის ორიენტალისტთა საზოგადოების გამგეობისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად, აგრეთვე, იყო პარიზში გამომავალი ცნობილი ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისას" („რევიუ დე ქართველოლოჟი") სარედაქციო კოლეგიისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი.

ლ. ტარდი ყოველწლიურად მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმსა და კონგრესში. უკანასკნელად 1987 წლის ოქტომბერში იგი ჩამოვიდა საქართველოში ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე. მან უნგრეთში გამოაქვეყნა მშვენიერი წერილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

თავის მეცნიერულ მუშაობაში ლ. ტარდის ხელს უწყობს შესანიშნავი კლასიკური განათლება და უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა: გარდა მშობლიური უნგრულისა, მან ჩინებულად იცის ლათინური, გერმანული, იტალიური, ინგლისური და რუსული ენები, საკმარისად კარგად — ფრანგული და ესპანური, აგრეთვე, ქართული.

ლაიოშ ტარდი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მკვლევარია. მას ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები უნგრეთის ისტორიის, სამართლის, მედიცინისა და პრესის ისტორიის საკითხებზე, აგრეთვე უნგრულ-რუსულ და უნგრულ-უკრაინულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებზე.

როგორც თვითონ ლ. ტარდი ამბობს, „პირველი სიყვარულის წლებში" იგემა მან პირველი სიყვარული იმ ქვეყნის წარსულისა, რომელშიც იგი ხედავდა თავისი სამშობლოს ისტორიის, თავისი ხალხის ბედის თანამოზიარეს.. (ამ მხრივ, იგი ისტორიკოს ალენის მიმდევარია); მაგრამ ისევ ლ. ტარდის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ახალგაზრდა კაცმა შეიძლება პირველი სიყვარული დაივიწყოს, ახალგაზრდა კაცს შეიძლება პირველი სიყვარულის გრძნობამ გაუაროს, მაგრამ საქართველოსადმი ჭაბუკობის წლებში ჩანერგილი პირველი სიყვარული მას დღემდე არ განელებია".

მხოლოდ 1967 წლის სექტემბერში აუხდა ოცნება ჩვენს ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულ მწერალსა და მეცნიერს: უნგრეთის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ეწვია ლაიოშ ტარდი, როგორც უნგრეთის დელეგაციის წევრი და ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთებში უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის შესახებ გულწრფელი მეგობრობისა და მეცნიერული ინტერესების ალმძვრელი წერილი გამოაქვეყნა, რომელიც ერთდროულად უნგრულ პრესაშიც დაიბეჭდა.

ამის შემდეგ ლ. ტარდი უკვე რამდენიმეჯერ (1968 წ., 1969 წ., 1973წ.) ჩამოვიდა საქართველოში ხანგრძლივი მეცნიერული მივლინებით, უფრო ახლოს გაეცნო ჩვენს სამშობლოს, ქართული კულტურის ძეგლებს, სიძველეთსაცავებს. დაამყარა კონტაქტები ქართველ კოლეგებთან... 1976 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში, ხოლო ცენტრალურ პრესაში მალე გამოქვეყნდა მისი ვრცელი ინტერვიუ უნგრეთ-საქართველოს ისტორიული თანამეგობრობის შესახებ.

დიდი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა და აკავშირებს ლაიოშ ტარდის ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან.

ძლიერ დავალებულად გრძნობს იგი თავს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისაგან.

კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით შესანიშნავი მოგონება „შეხვედრა თბილისში" გამოაქვეყნა ლაიოშ ტარდიმ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთ „ნეპსაბადშაგში" 1975 წლის 7 აგვისტოს, რომელშიც უნგრელ მკითხველთა თვალწინ გააცოცხლა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დედაბოძის დაუვიწყარი სახე, რომელსაც იგი „დაუვიწყარ ქართველ ბარდს" უწოდებს. დიდ ქართველ მწერალთან პირადი შეხვედრებითა და მეგობრობით შთაგონებული უნგრელი ქართველოლოგი კონსტანტინე გამსახურდიას ნამდვილ ცოცხალ პორტრეტს ხატავდა, როცა წერდა:

„ქვაში ამეტყველებული ისტორიული ძეგლების, ეკლესიების, ციხის ნანგრევების გვერდით დაკვირვებული ტურისტი საქართველოს დედაქალაქში აუცილებლად შეამჩნევდა ერთ ცოცხალ ძეგლსაც: თეატრის ფოიესა და რუსთაველის პროსპექტზე ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე არწივისებური გამომეტყველების მქონე კაცი. მოხუცს თანამედროვე ტანსაცმელი კი არ ეცვა, არამედ სადა, მაგრამ მაინც სადღესასწაულო ჩოხა, წელზე კი ძველებური ქართული ხანჯალი ეკიდა... იგი თავისი ხალხის ერთგული შვილი იყო... ეს პირქუში გამომეტყველების, შუა საუკუნეების რაინდების მსგავსი გარეგნობის კაცი იყო მრავალ ენაზე ამეტყველებული დანტესა და გოეთეს ქართულ ენაზე მთარგმნელი, წლების მანძილზე თომას მანისა და მრავალი სხვა მოწინავე მწერლის მეგობარი. განათლება პეტერბურგსა და ბერლინში ჰქონდა მიღებული, შემოვლილი ჰქონდა მთელი ევროპა. ამ სტრიქონების ავტორს დიდი სიყვარულით ესაუბრა უნგრეთში მიღებული შთაბეჭდილებების თაობაზე".

ლაიოშ ტარდის ბინის კარი ბუდაპეშტში მუდამ ღიაა მეგობარ უნგრეთში ჩასული ყოველი ქართველისათვის. საგანგებო ოთახში მას თავისებური ქართული მუზეუმი აქვს მოწყობილი. რას არ ნახავთ აქ: ქართული ნაბადი, ქამარ-ხანჯალი და ჩოხა, ხალიჩები, დროშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ლითონმქანდაკებლობა და კერამიკა, უნიკალური ბიბლიოთეკა ქართული წიგნებითა და საქართველოდან ყოველდღიურად მომავალი ჟურნალ-გაზეთებით... ერთი სიტყვით, აქ თავი უცხოეთში კი არა, სამშობლოში გგონია. აქვეა გამოფენილი უიშვიათესი ძველი ევროპული რუკები და გრავიურები საქართველოს შესახებ, მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ორი ძველი გერმანული გრავიურა „ქართველები" და „თბილისი", რომლებიც მკვლევარს ევროპელ ბუკინისტებთან და ანტიკვარებთან აქვს შეძენილი.

მაგრამ მაინც ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ლაიოშ ტარდის მიერ დიდი სიყვარულითა და ზრუნვით შექმნილი მდიდარი ქართველოლოგიური არქივი, რომელშიც დაცულია უნგრელი ქართველოლოგის მრავალი წლის მანძილზე განუწყვეტელი შრომის შედეგად ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით, ავსტრიისა და იტალიის სიძველეთსაცავებში გამოვლენილი და გადმოღებული ძვირფასი წერილობითი წყაროები უნგრულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და ლათინურ ენებზე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ. ლაიოშ ტარდიმ გადმომცა წერილობითი დოკუმენტი (დაცულია ჩემთან), რომლის ძალითაც იგი მთელ ამ უმდიდრეს ქართველოლოგიურ არქივს უტოვებს ქართველ ხალხს და დასაცავად გადასცემს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების კომისიამ უნდა იზრუნოს ამ დოკუმენტების გამოსაცემად თვით ლ. ტარდის მონაწილეობით.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ ლაიოშ ტარდის მრავალმხრივ საინტერესო ქართველოლოგიური მოღვაწეობის ვრცელ და ამომწურავ მიმოხილვას. ამ რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „მნათობში" (1980, № 12). მას ჩვენ საგანგებო წერილი მივუძღვენით. მას შემდეგ დაუშრომელმა და მუდამ მაძიებელმა მეცნიერმა ახალი წიგნებით და გამოკვლევებით გაახარა მისი ნიჭის თაყვანისმცემლები (მათ შორის, საგანგებო აღნიშვნის ღირსია „მოგონებები") და სამომავლოდაც კვლავ ახალ შრომებს გვპირდება ამაგდარი მკვლევარი.

...ამ დღეებში პროფესორ ლაიოშ ტარდის 75 წელი შეუსრულდა, ვუსურვოთ ჩვენს უანგარო მეგობარს ჯანმრთელობა და წარმატება უნგრელი და ქართველი ხალხების საკეთილდღეოდ.

გურამ შარაძე,
საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

• • •

სურათზე: კონსტანტინე გამსახურდია და ლაიოშ ტარდი.

კონტაქტები

ასოციაცია ძალას იკრებს

ჩვენი გაზეთი ამა წლის 20 მაისის ნომერში მკითხველებს აუწყებდა, რომ ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში შეიქმნა ასოციაცია „ბელგია-საქართველო", რომ დაგეგმილი იყო ამ ასოციაციის დელეგაციის სტუმრობა საქართველოში.

მართლაც, ბელგიელთა 18-კაციანი დელეგაცია ამ რამდენიმე კვირის წინათ ესტუმრა საქართველოს, დიდი შთაბეჭდილებებით გაბრუნდა სამშობლოში, ხოლო დელეგაციის ხელმძღვანელები — ასოციაცია „ბელგია-საქართველოს" თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი გოლდი ბლანკოფ-სკარი, მისი მეუღლე ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ჟან ბლანკოფი, ასოციაციის მდივანი, ქალბატონი ელენე დეკ-ანჯაფარიძე ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობენ და, ამდენად, მცირე ხნით „ჩამორჩნენ" ჯგუფს. ისინი საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებენ „კომუნისტის" კორესპონდენტს.

გოლდი ბლანკოფ-სკარი:

— **ჩვენთვის** დიდად საპატიოა, ვიყო ასოციაცია „ბელგია-საქართველოს" თავმჯდომარე, ხელს ვუწყობდე ორი ერის კულტურათა დაახლოებას. ვეცდები, ყოველივე ეს შევუთავსო ქართველოლოგიაში მუშაობას.

ასოციაციას გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს საინფორმაციო ბიულეტენი, ამიტომ ქართველმა მეგობრებმა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, ჟურნალ-გაზეთები, წიგნები უნდა გამოგვიგზავნონ ბელგიაში. ეს აუცილებელია, რათა ახლოს გაიცნონ ჩვენში საქართველოს წარსული თუ აწმყო.

გეგმის მიხედვით, ვფიქრობთ ბელგიაში მივიწვიოთ რამდენიმე ახალგაზრდა ქართველი მხატვარი. ისინი ერთ-ორ თვეს დაჰყოფენ ჩვენთან, შექმნიან ნაწარმოებებს, იქვე მოაწყობენ გამოფენა-გაყიდვას...

გეგმაში გვაქვს ბელგიაში ქართული ფილმების ფესტივალის გამართვა, ასევე, საქართველოში ბელგიური კინოსურათების ჩვენება, რომლებსაც მაინცდამაინც, არ იცნობენ თქვენში.

ალბათ, გავცვლით კულტურის მუშაკთა დელეგაციებს, სტუდენტებს... დავამყარებთ სამეცნიერო კონტაქტებს. დასაწყისისათვის, ვფიქრობთ, ცუდი არ არის [illegible] ყოველივე, ხოლო თანდათან, ცხადია, კონტაქტები გაღრმავდება, გამრავალფეროვნდება. მთავარია, წმინდად ვემსახუროთ ერთ, საერთო საქმეს — ადამიანთა დაახლოებას.

ჟან ბლანკოფი:

— **ჩვენი** დელეგაცია ორ კვირაზე მეტ ხანს იყო საქართველოში. უპირველესად, დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, ბატონ ოთარ გიგინეიშვილს, ბატონ გივი მაისურაძეს, რომელიც ბელგიაში, საბჭოთა საელჩოში მუშაობდა და დიდი ღვაწლი დასდო ასოციაცია „ბელგია-საქართველოს" შექმნას...

უზომო შთაბეჭდილებებით მივემგზავრებით, მარტო სვანეთის ნახვა რად ღირდა, ანდა ის ფაქტი, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გამონახა დრო და თითქმის ერთი საათი ესაუბრა დელეგაციის წევრებს. მე საქართველოში პირველად [illegible], და, ეტყობა, აწი [illegible] ხშირად [illegible].

ელენე დეკ-ანჯაფარიძე:

— **რა** თქმა უნდა, გაინტერესებთ საიდან მოხვდა ბელგიაში ანჯაფარიძეთა გვარი. 1926 წელს მამაჩემი ჩასულა იქ სასწავლებლად, მერე ოჯახი შეუქმნია — დაქორწინებულა ბელგიელ ქალზე... მე ძმაცა მყავს...

პირველად საქართველოში მამასთან ერთად ჩამოვედი 1967 წელს. მამა უკვე ცოცხალი აღარ არის. ვცდილობ საქართველოსთან კავშირი არ გავწყვიტო, მინდა შვილებმაც ბევრი რამ იცოდნენ მასზე. როგორც ხედავთ, ცოტა-ცოტა ქართულიც ვისწავლე და თუ აღსრულდა ჩემი ოცნება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირებაზე ჩამოვედი, ამას რა სჯობს.

ყოველნაირად ვეცდები ხელი შევუწყო ასოციაცია „ბელგია-საქართველოს" სიმტკიცეს...

ფოთოლცვენა. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

სპორტის ამბები

● **ჭადრაკი.** ერთი ტური დარჩა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების დასრულებამდე. ანატოლი კარპოვისა და არტურ იუსუპოვის მეშვიდე პარტია 61-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 3,5:3,5. ასეთივე ანგარიშია იან ტიმანისა და ჯონათან სპილმენის შეხვედრაშიც. როგორც ხედავთ, ნახევარფინალური პაექრობა უაღრესად საინტერესო და უკომპრომისო გამოდგა. მართალია, ტურნირის დაწყებამდე უპირატესობას კარპოვსა და ტიმანს ანიჭებდნენ, მაგრამ მეტოქეებმა მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

თუ ბოლო, მერვე პარტიაში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, გამარჯვებულთა გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი ორი პარტია (18 და 20 ოქტომბერს). თუ ამ შემთხვევაშიც საყაიმო ანგარიში აღინიშნა, მეტოქეებს მოუწევთ თამაში პირველ გამარჯვებამდე დროის შეზღუდული რეგლამენტით.

● **სპორტული ტანვარჯიში.** შტუტგარტში (გფრ) გრძელდება ჩემპიონატი. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ვაჟთა გუნდებს შორის დაწინაურდა საბჭოთა კავშირის ნაკრები — 293,15 ქულა. შემდეგ მოდიან გდრ-სა (288,8) და ჩინეთის (288,75) გუნდები. პირად ჩათვლაში ლიდერობს ვლადიმერ არტიომოვი — 59,9. ქალთა შეჯიბრებაშიც წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები — 198,058, მეორეა რუმინეთის გუნდი (196,447), მესამე — ჩინეთის ნაკრები — 195,896. პირად ტურნირში სამეული ასე გამოიყურება: სვეტლანა ბოგინსკაია (მინსკი) — 39,837, დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 39,699, იან ბო (ჩინეთი) — 39,599.

● **ჩოგბურთი.** 10 ათასი მაყურებელი დაესწრო ამერიკელი გრეთხენ მეჯერსისა და მინსკელი ნატალია ზვერევას ფინალურ მატჩს „ვირჯინია სლიმზის" მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე. გაიმარჯვა მეჯერსმა და ფულადი პრიზი — 17 ათასი დოლარი მიიღო. წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს დუეტი.

● **ფეხბურთი.** ბოლონიაში (იტალია) გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი იტალიისა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 1:0 (0:0) გაიმარჯვეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა. გოლი 78-ე წუთზე გაიტანა კრუზმა.

რუსთაველის საზოგადოებაში

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია იუწყება, რომ ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ინვალიდები და საზოგადოება". შეიქმნა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტის ზაზა სიხარულიძის თავმჯდომარეობით. საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა თუ მოქალაქეებს, თავიანთი მოსაზრებები მოხსენებების თეზისების სახით, ნოემბრის დამდეგამდე, გამოაგზავნონ შემდეგი მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პრ. № 37, რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდენტს ზაზა სიხარულიძეს.

— პატივცემულო ზაზა, როგორ წარიმართება რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა?

— კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები და წარმოების სფეროს წარმომადგენლები: სოციოლოგები, მედიკოსები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, სპორტის მოღვაწეები, კონსტრუქტორები თუ ინჟინრები. ამიტომ კონფერენციის მუშაობა უნდა წარიმართოს სათანადო სექციებში, რომელთა საქმიანობას შევაჯამებთ საბოლოო პლენარულ სხდომაზე.

კონფერენციის გამართვას ასოციაცია აპირებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, გამსახკომთან, ექიმთა ასოციაციასთან და სპორტსაზოგადოება „შავარდენთან" ერთად. განზრახული გვაქვს დავსტამბოთ მოხსენებათა თეზისები.

— გვიამბეთ როგორ რეაგირებთ მოქალაქეთა წერილებზე.

— თქვენი მეშვეობით გვსურს ვაცნობოთ ყველას, ვინც კი წერილობით მოგვმართა, რომ შექმნილია ინვალიდთა განცხადებებისა და საჩივრების განმხილველი ფრიად ავტორიტეტიანი კომისია, რომელშიც შედიან საქართველოს სახელოვანი შვილები, როგორც, ასე ვთქვათ, „ფორმალები", ისე „არაფორმალები". ჩვენი ასოციაციის სათანადო სამსახური გადასაცემად ამზადებს მასალებს ამ კომისიისათვის. გვინდა დავარწმუნოთ ყველა, ვინც კი მოგვმართა, რომ პრაქტიკული რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩება არც ერთი სამართლიანი თხოვნა. კომისია თავის მუშაობას შეუდგება ნოემბრის დამდეგამდე.

უკვე შევუდექით ინვალიდობის კონცეფციის შემუშავებას, რის საფუძველზეც შემდგომ საქართველოს უზენაეს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგენთ კანონპროექტს ინვალიდების შესახებ. მსგავს კანონს არ იცნობს საბჭოთა პრაქტიკა. ჩვენ უნდა გავიზიაროთ საზღვარგარეთის ქვეყნების დიდი გამოცდილება ამ მხრივ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობს და საქმიანობს 183 ათასზე მეტი ინვალიდი, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 3 პროცენტს. ეს საგანგაშო ციფრი ნათლად მეტყველებს ინვალიდთა ასოციაციის უდიდეს პასუხისმგებლობაზე ქართველი ერის, რესპუბლიკის წინაშე. ჩვენ არაფერს დავიშურებთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ინვალიდთა ყოფა-ცხოვრების ერთგვარ გაუმჯობესებას სულ მოკლე ხანში. მთავარია, საქმე დავიწყოთ...

(საქინფორმი).

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

---

19 ოქტომბერს 11 საათზე ცეკავშირის შენობაში (ლენინის მოედანი № 7) ჩატარდება **ცეკავშირის** მეოცე მოწვევის საბჭოს მეორე კრება. მსურველებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა.

ცეკავშირის გამგეობა.

ექსპერიმენტული კამერული მუსიკალური თეატრი:

ახალი სეზონი

პაველ ლისიციანის ოჯახის სახელოვან წარმომადგენელთა შესანიშნავ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარული მოუტანეს თბილისელებს რუსეთის სფსრ სახალხო არტისტებმა კარინე და რუზანა ლისიციანებმა, მოსკოვის ფილარმონიის სოლისტმა დეკლამატორმა გერასიმე ლისიციანმა. მათი გამოსვლით გახსნა თავისი ახალი სეზონი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებულმა ექსპერიმენტულმა კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა. მოსკოველმა მსახიობებმა მსმენელებს შესთავაზეს პროგრამა „მე თქვენ მიყვარდით...". XIX საუკუნის რუსული პოეზია და დარგომიჟსკის რომანსები, სსრ კავშირისა და ამერიკის კონტინენტის ხალხთა სიმღერები, კომიტასის ნაწარმოებები.

ქალთა ვოკალური დუეტი ძალზე იშვიათი ანსამბლია ჩვენს დროში. დუეტური ვოკალური მუსიკა დაწერილია ძალზე ბევრი — მშვენიერი, ამაღლებული, ლირიკული, ფაქიზი მუსიკა. და მით უფრო სასიხარულოა, რომ მუსიკალურმა თეატრმა თბილისელ მუსიკოსმოყვარულთ მისცა დები ლისიციანების ხელოვნებასთან შეხვედრის შესაძლებლობა. ისინი ხომ იმ მრავალი ნაწარმოების პირველი შემსრულებლები არიან, რომლებიც ორხმიანი ქალთა ანსამბლისათვის არის დაწერილი. თბილისის სცენაზე გაიმართა ამერიკული სიმღერებისა და კომიტასის ნაწარმოებების პრემიერა.

თბილისის კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა ახალგაზრდობის მიუხედავად — იგი მხოლოდ წლინახევრისაა — მსმენელთა დამსახურებული აღიარება მოიპოვა. მის შემოქმედებას იცნობენ არა მარტო თბილისელები, არამედ რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებლებიც. ჩეხოსლოვაკიაში წარმატებული გამოსვლისათვის ამ კოლექტივის ჯგუფი ამას წინათ ქალაქ კარლოვი ვარის ხელოვნების სკოლის საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

ახალ სეზონში თეატრი მაყურებელს უჩვენებს კომპოზიტორ პულენკის ოპერის „ადამიანის ხმის" პრემიერას, რომელიც შექმნილია ჟან კოქტოს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის ერთაქტიან ბალეტს, რომელიც დადგა ბალეტმაისტერმა ზაქრო ამონაშვილმა. გაიმართება სსრ კავშირის სახალხო არტისტის ალექსი მაჭავარიანის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ოთარ გორდელის შემოქმედებითი საღამოები, დავით თორაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური კონცერტი.

თეატრის გეგმებშია ხაგასტროლო მოგზაურობა მოსკოვში.

(საქინფორმი).

ავარია რკინიგზაზე

14 ოქტომბერს 21 საათსა და 45 წუთზე № 2004 სატვირთო მატარებელში, რომელიც ბაქოდან მოდიოდა გადასარბენზე თბილისის საკვანძო და თბილისის სამგზავრო სადგურებს შორის, ბენზინის გაჟონვის შედეგად ცეცხლი მოეკიდა აი-93 მარკის ბენზინის ცისტერნებს.

— ხანძრის ჩასაქრობად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სატრანსპორტო სამმართველოს უფროსმა თენგიზ ეპიტაშვილმა, — შემთხვევის ადგილას გაიგზავნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპანძრო დაცვის სამმართველოს ძალები და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სახანძრო მატარებელი. ელმავალი, ცისტერნებისა და ვაგონების ნაწილი მოხსნეს შემადგენლობას. მაგრამ ხანძარი სხვა ვაგონებსაც მოედო, რომლებშიც სახალხო-სამეურნეო ტვირთი იყო. ხანძრის ჩაქრობის დროს ალმოდებული ვაგონები თბილისის სამგზავრო სადგურის მხარეს დაჭანდნენ და შეეჯახნენ აღნიშნული შემადგენლობიდან მოხსნილ ვაგონებს. ამის შედეგად 13 ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან და გადაყირავდა.

შეთანხმებული მოქმედების წყალობით ხანძარი ლიკვიდირებული იყო, გადარჩა მატერიალური ფასეულობანი, ცეცხლი არ გავრცელებულა ახლომდებარე სახლებზე. მსხვერპლი არ არის. ამჟამად მატარებლების მოძრაობა აღდგენილია. ამ ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ხანძრის მიზეზებს იძიებს თბილისის სატრანსპორტო პროკურატურა.

(საქინფორმი).

რას გვპირდება „პარტიული სიტყვა"

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა დიდი ხანია დაიწყო. ბევრმა წინდახედულმა მკითხველმა უკვე გამოიწერა 1990 წლისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „პარტიული სიტყვა". და ეს მიზანშეწონილიც გახლავთ, რადგანაც ხელმოწერის პერიოდის ბოლოს „სოიუზპეჩატის" სალაროებთან ყოველთვის დიდი რიგი დგება. **ჩვენი ჟურნალის ამჟამინდელი ამოცანაა გააშუქოს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფორმების მრავალფეროვნება, აქტიურად ჩამოაყალიბოს კონსტრუქციული დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი, ხელი შეუწყოს იდეოლოგიური მუშაობის განახლებას, რუტინის, ლაყბობისა და შაბლონისაგან მის განთავისუფლებას,. ზეპირი პოლიტიკური პროპაგანდის, აგიტაციისა და პარტიული სწავლების სრულყოფას, გამართოს გულახდილი საუბარი ადამიანებთან.**

ჟურნალის დროულად გამოწერა მისი შეუფერხებლად მოწოდების საუკეთესო გარანტიაა. ჟურნალზე ხელმოწერა „სოიუზპეჩატის" განყოფილებებში მიიღება შეუზღუდავად.

• „პარტიული სიტყვა" მთელი წლით 8 მან. და 60 კაპ. ღირს, ექვსი თვით — 1 მან. და 80 კაპ. სამი თვით — 90 კაპ. ინდექსი — 76000.

თბილისის მენეჯერთა სკოლა

სასწავლებლად იწვევს მათ, ვისაც სურს გახდეს პროფესიული მმართველი. მსმენელები გაივლიან მართვის თეორიისა და პრაქტიკის სრულ კურსს, რომლის ფარგლებში

— აიმაღლებენ მმართველობის, ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ხელმძღვანელობის კულტურას;

— დაეუფლებიან საბაზრო ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, სამართლის, ფინანსების მართვის საფუძვლებს;

— გაივლიან სტაჟირებას ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მსმენელს სურვილის მიხედვით შეეძლება შეისწავლოს ერთ-ერთი უცხო ენა საქმიანი ურთიერთობებისათვის.

სწავლება ქართულ ენაზეა.

სწავლა წარმოებას მოწყვეტით ხდება. მისი ვადა 10 თვეა. ერთი მსმენელის მომზადების ღირებულება 4000 მანეთია. სწავლის წარმატებით დამთავრებისას მსმენელი მიიღებს შესაბამის დიპლომს.

სასწავლებლად მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები 40 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არანაკლებ 3 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ნოემბრამდე. მსურველთა სკოლაში ჩარიცხვა გასაუბრების საფუძველზე მოხდება. სწავლება 9 ნოემბერს დაიწყება.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს დამატებითი ცნობების მიღება შეუძლიათ მისამართით: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40, თბილისის მენეჯერთა სკოლა. ტელ. 39-44-57; 39-11-30.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ნინო". 15.40 — კინოჟურნალი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — დოკუმენტური ფილმი „მაკარენკოსთან ერთად". 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.30 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 19.00 — ქართული ლიტერატურის ისტორია (გადაცემა მეექვსე). 19.25 — განცხადებები. 19.30 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. 20.55 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. (რიგის „ვეფი"—თბილისის „დინამო"). 21.25 — ფეხბურთი ევროპის თასებზე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ფეხბურთი ევროპის თასებზე (მ.).

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რასულ ჰამზათოვი". 17.15 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.00 — მხატვრული ფილმი „საიდუმლო მემკვიდრე". II სერია. 19.15 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუსული პოეზიისა და უძველესი რომანსის საღამო".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „გამოცხადება". II და III სერია. 11.50 — ფილმ-კონცერტი „ფრედერიკ შოპენი". 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.00 — VIII საერთაშორისო ფესტივალი „ცისარტყელა". „პროვინცია ხადრამაუტის ხალხური ცეკვები" (იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა). 13.30 — ალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 16.35 — „საუკუნეთა სიღრმიდან". გადაცემა ქ. ორჯონიკიძიდან. 17.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 18.05 — დ. შოსტაკოვიჩი — კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის ლა მინორი, თხზულება 77. 18.45 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილით). 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 და 22.40 — ფეხბურთი. ევროპის თასები. შესვენებისას (23.30) — დღეს მსოფლიოში. 22.00 — „ვრემია".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 10.05 და 11.05 — გერმანული ენა. 11.35 და 12.35 — მუსიკა. V კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.00 — მხატვრული ტელეფილმი „გამხიარულდი". I სერია — „ბაღდადელი ქურდი". 14.05 — რსფსრ დირიჟორ-ხორმაისტერების შერეული გუნდის კონცერტი. 14.45 — დროსა და საკუთარ თავზე. ა. პროკოფიევი. 15.00 და 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „გამხიარულდი". I სერია — „ბაღდადელი ქურდი". 19.15 — მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. 20.00 — რსფსრ ქალაქების ტელესტუდიები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „გაცვლა". 0.10 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10523 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14